

მამუკა გოგიტიძე



საუკუნის პარიზშესთან

(მხატვრულ - ისტორიული ნოველა)



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი 2023

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრის, მამუკა გოგიტიძის ნოველა „საუკუნის კარიბჭესთან“ მხატვრულ-ისტორიული ჟანრისაა. მასში განხილული ისტორიული პერიოდი მოიცავს 1798 - 1801 წლებში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე განვითარებული ტრაგედიის პერიპეტიებს, საქართველო-რუსეთის იმდროინდელ ურთიერთობებს, რასაც მოჰყვა შემდგომი მოვლენები - ბაგრატიონთა ტახტის ხელყოფა, ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია და რუსეთან შეერთება გუბერნიის სახით 1801 წელს.

ვუძღვნი ჩემი მეგობრის და კოლეგის
ისტორიის დოქტორის, პროფესორ

გიორგი პეშიტაშვილის
ნათელ ხსოვნას

რედაქტორი
მანანა გორგიშვილი

დამპაპადონებელი
თამარ ტყაბლაძე

„ერეპლეს გარეშე“

იდგა 1798 წლის 11 იანვარი. ეს შფოთვით აღსავსე საუკუნე ინურებოდა, მარა ინურებოდა ძალზე დიდი უბედურობებით აღსავსე... ჯერ იყო 1795 წლის შავი სექტემბერი, როცა სპარსელმა საჭურისმა აღა მახმად ხანმა* აღგავა მიწისაგან პირისა ტფილისი და მისი შემოგარენი, მერე მოჰყვა მას შავი ჭირი და აპა მესამე უბედურებაც დაატყვდა ქართლ-კახეთის სამეფოს... დიდი ბურჯი ეცლებოდა მას ერეკლე მეფის სახით, რომელსაც სიბერეშიც კი ხალხი ეძახდა პატარა კახს. ამ ქვეყანას თეიმურაზი და ერეკლე ორმოცდაათი წლის მანძილზე აძლიერებდნენ თავისი მოღვაწეობით... და ამ საჭურისმა ორ დღეში მიწასთან გაასწორა მათი ნალოლიავი და ნაშენი ქვეყანა...

სოფელ საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესიასთან იჯდა ოთხმოცამდე წლის მოხუცი და ღრმა ფიქრებში იყო წასული, როცა შენიშნა გზაზე მხედარი, რომელიც მიემართებოდა მისკენ.

- მოხუცო! მოხუცო! სოფელში ვინმე არის?

- რას ქვია ვინმე არის, არის აბა არ არის, მე ამ სოფლის მამასახლისი ვარ, აზნაური ვანო შენგელიძე, მობრძანდით ბატონო, ხომ მშვიდობაა?

- მშვიდობა მოგცეს უფალმა! - უპასუხა მგზავრმა, - დასვენების დრო სულ არ მაქვს, ერთი ჩემს ცხენს ცოტა თივა აჭამეთ თუ შეიძლება, და გავქუსლავ. თელავიდან მოვდივარ დედაქალაქისკენ... ცუდი ამბავი მომაქ, ძალიან ცუდი... და მიესალმა მასპინძელს.

- გიორგი, შვილო, - მიუბრუნდა მოხუცი ბიჭს, - ერთი მიხედე ცხენსა...

- რა ამბავია მასეთი, ბატონო? ისევ შემოგვესია მტერი?

*აღა-მაჰმად-ხანი (1742 - 1797) — სპარსეთის გამგებელი 1794 წლიდან, შაპი 1796 წლიდან. ყავართა დინასტიის დამაარსებელი. საჭურისა. 1797 წელს ამიერკავკასიაში მეორედ ლაშქრობისას აღა-მაჰმად-ხანი შუშაში მოკლეს მისმა მსახურებმა.

- არა, ჩემი ბატონო... აღარ გვყავს მეფე ერეკლე, ჩვენი პატარა კახი... დღეს გამთენისას მიაბარა უფალს სული...

- მე ჩვენ მეფეს ვახლდი ინდოეთსა და ავღანეთში ნადირის* ლაშქრობაში... ეჭ, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, არც კი მჯერა, რომ ეს ყველაფერი მართლა მე გადამხდა... მაგრამ ეს ყველაფერი იყო... როგორც ერთი დიდი სიზმარი.

ასეთი სიბერე დამიდგა, მეუღლე დიდის ხნის წინათ ჯერ ომამდეე გარდამეცვალა, სამივე ვაჟკაცი ამ ომში დამეღუპა და დამრჩენენ ეს ჩემი შვილიშვილები, ერთი მეორეზე პატარები. ერთი ქვრივია სოფელში და ის მეხმარება ამათ გაზრდაში, თორემ მე ორი პარასკევი და დამრჩა ამ ქვეყანაზე და... -თავისი დაკაუული ხელით მოიწმინდა ცრემლები ვანო პაპამ.

მგზავრმა გახედა ბიჭს, რომელსაც მიჰყავდა თავლაში ცხენი რათა ეჭმია მისთვის თივა... .

- ჩემი შვილიშვილია, ბატონო... ოცი წლისა გახდა შარშან, ჩემი დაღუპული უფროსი ვაჟის, ვანოს შვილია, კარგი ბალია... მეურნეობაში მეხმარება ... მჭედლის და ხარაზის ხელობაც იცის... იქნებ ამათ შთამომავლობამ მოესწროს ჩვენი ბედკრული საქართველოს აყვავებას, მე კი ვეღარ მოვესწრები ეს ნამდვილად ვიცი... იწურება ეს მშფოთვარე საუკუნეც და რა გველოდება ხვალ, არ ვიცით... როგორ მოგმართო ბატონო? - იკითხა მასპინძელმა.

- დიმიტრი მქონა, გვარად ჯავახიშვილი ვარ, მეფის გარდაცვალების საბუთი უნდა ჩავიტანო დღესვე დედაქალაქში...

- ჩემი ჭერი დალოცე, კეთილო კაცო...
- დალოცვილი ყოფილიყავი ვანო პაპა შენი მონაგარით... და გადაჰკრა ჭიქა ღვინო.

- ერთი თხოვნა მაქ შენთანა... შენა მოძრაობ იქეთ აქეთ, ხალხსა იცნობ და ერთი დარდი არ მასვენებს მუდამ... -და უცბად ცრემლები წამოუვიდა.

*ნადირ-შაჲ ავშარი (1688-1747) — ირანის შაჲი 1736-1747, ყიზილბაშთა ავ-შარის ტომიდან. ნადირ-შაჲი მოკლეს შეთქმულმა ჯარისკაცებმა ხორასანში, საკუთარ საწოლ ოთახში.

- რა იყო ვანო პაპა, ხომ მშვიდობაა... - შეწუხდა დიმიტრი.
- რაშია საქმე იცი, ჩემი ძმისშვილი მყავს დაკარგული, უკვე რამდენი წელია, ერთი ოცი წელი იქნება, აი ომი რო იყო ოსმალებთან, ის ოხერი ტუტლიბინი* ღენერალი რო გამოგზავნა როსიის მეფემ... მაშინ გადავიდა იმერეთში მდგარ რუსის ჯარში და იმის მერე არაფერი ვიცი რა მის შესახებ... კარგი ბიჭი იყო, ამისი ხნისა ლამისა, ეხლა ორმოცი წლისა უნდა იყოს, იქნებ რაიმე გაარკვიო, ჰა? არ მინდა ისე მოვკვდე? იქნებ ცოცხალია?
- გავარკვევ მაქ საქმეს, „ვავკაზისკი ლინიაზე“, მყავს მეგობარი, რა ქვია შენ ძმიშვილსა?
- დავითი იოსებას შვილია. შენი სამუდამო მევალე ვიქნები. რაღაცა ხნის შემდეგ, ვანო პაპამ კითხა დიმიტრის:
- ხალხი ამბობს რომა მეფის კარზე ქიშპობენ უფლისწულებიო, მართალია ეს ამბავი?

- მართალია მოხუცო, მართალია, ძან ცუდ დღეში ვართ... რა გვეშველება პატარა კახის შემდეგ, წარმოდგენაც კი მიჭირს, ამდენ შვილებს ქიშპი და მტრობა არ ელევათ. აფსუს არც ვახტანგი* და არც ლევანი* ცოცხლები აღარ არიან... ისინი ძლიერები იყვნენ და მეფის სათანადო დასაყრდენები იყვნენ, მათი იმედი ჰქონდა, ეხლა ვის უნდა დარჩეს ქვეყნის სადავეები? რა საკვირველია, გიორგი არ და ვერ იქნება ისეთი ძლიერი მეფე, როგორიც ჩვენი მეფე ერეკლე იყო, თუმცა ჯეელობაში ძლიერი მეომარი იყო... ხუმრობა საქმე ხომ არაა ორმოცდაათ წელზე მეტია ედგა სამეფოს სათავეში... თანაც გიორგი ავადაა, ვინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები... ერთის მხრივ ჩვენს ამაოხრებელ აღას კი აზღვევინეს სამაგიერო იმის გამო რაც ჩვენს მეფეს დამართა და თანაც ხმა დადის რომ დატყვევვებულმა ქართველებმა გამოსჭრეს მას ყელიო...

იქით როსიის იმპერატორმა პავლემ* შემოგვითვალა, რაღად გინდათ ჩვენი დახმარებაო, აღა მოკლულიაო და თქვენ სა-

*ტოტლებენი-გოტლიბ კურტ ჰაინრიხი (1715-1773) — გენერალ-მაიორი, რუსული ჯარის მეთაური იმპერეთში.

*ვახტანგი, უფლისწული, ერეკლე II შვილი (ვახტანგ კარგი) (1738-1756)

*ლევანი, უფლისწული, ერეკლე II შვილი, მორიგე ჯარის სარდალი (1756-1781)

*პავლე I (1754-1801), რუსეთის იმპერატორი 1796-1801 წლებში.

შიშროება მოგეხსნათო, ლეკებს კიდევ თქვენი ძალებით გაუმკ-ლავდითო... მეტს ვერ დავრჩები, დრო არ ითმენს, დღესვე უნდა ვიყო დედაქალაქში, - და დაიწყო გამომშვოდობება.

- ერთი წამით, დიმიტრი, ეს საგზალი გაიყოლიე, ლუკმა პურს და ჭიქა ლვინოს მაინც თავისი გემო აქვს,- და გადაეხვივ-ნენ ერთმანეთს, დიდი ხნის მეგობრებივით. გზა მშვიდობისა!

გიორგიმ თავლიდან გამოიყვანა ცხენი და მიჰვარა მის პატრონს.

- რა ჰქვია, ბატონო თქვენს ცხენს?- იკითხა ბიჭმა.

- „კახელოს“, ვეძახი ჯო.

- კარგ ბედს გისურვებ გიორგი, იქნებ კიდევ შეგვახვედროს ბედმა... აბა ბედნივრად ვანო პაპა,-და მხედარმა აიღო გეზი ტფილისისკენ.

... იწერებოდა ახალი ფურცელი საქართველოს ისტორიაში, ერეკლის გარეშე და გიორგისთან ერთად... ერეკლესთან ყოფნა ერს და ბერს დაამახსოვრდა ორმოცდათორმეტნლიანი მართველობით, ხოლო რამდენ ხანს გასტანდა გიორგის მეფობა, არავინ ჯერ ჯერობით არ იცოდა, იმიტომ რომ უფლისწული გიორგი ადიოდა ტახტზე ძლიერ ავადმყოფი და გაურკვეველი ქვეყნის ხვალინდელ დღეში...

„გიორგის მეფობა“

უფლისწული თავის ამაღლით ჯერ კიდევ 1795 წლის სექტემბრის ბოლოდან იყო გამოგზავნილი ერეკლეს მიერ ტფილისში, რათა ეხელმძღვანელა დანგრეული ქალაქის აღდგენით სამუშაობებს. ქალაქი იყო ქცეული ნანგრევებად, ქუჩებში ეყარა გახრნილი გვამები და აქა იქ ისმოდა შავი ჭირისგან და შიმშილისგან მომაკვდავი ადამიანების კვნესა და ვედრება. მან ბევრი რამ გააკეთა, მოიწვია მშენებლები მდინარე მტკვარზე გადასასვლელის მოსაწყობად, რადგან ძველი გადასასვლელი სპარსელებმა დაწვეს. სამუშაოები ძალზე დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა და სულ მაღლე ტფილისმა ქალაქის სახე მიიღო.

დარჩა რა თვითონ ტფილისში, უფლისწულმა გიორგიმ გააგზავნა თავისი შვილი დავითი ყაზახის, ბორჩალოს და შამშადილოს ტომების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დასაპრუნებლად. ეს ტომები სპარსელების შემოსევამდე ცხოვრობდნენ მიწებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ გიორგის საუფლისწულოს. უფლისწულ დავითს უნდა დაებრუნებინა ასევე კახელებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ ტფილისის შემოგარენში და ყველა, ვინც მიაღწია არაგვის ხეობამდე როცა მათ მისდევდნენ სპარსელები და მოემზადებინა დიდი მარაგები ზამთრისათვის.

მისი შვილი დავით ბატონიშვილი* 1787-89 და 1795-1798 წლებში სწავლობდა და მსახურობდა რუსეთის ჯარში, თავის-სავე სახელობის პოლკში. 1789 წელს მონაწილეობდა ყარსთან ბრძოლაში და გაბედული მეომრის სახელი მოიხვეჭა. კრწანისში დავით ბატონიშვილი სეიდ-აბადის ბოლოს ტფილისში შემომავალ გზებს კეტავდა მებრძოლთა რაზმით და 6 ზარბაზნით. ამ რაზმა დიდი ზარალი მიაყენა მტერს ბრძოლის პირველ და მეორე დღეს (10 და 11 სექტემბერს).

*დავით ბატონიშვილი, ბაგრატიონი (1867-1819) - გიორგი XII უფროსი ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-1801, მნერალი, მეცნიერი, გენერალ-ლეიტენანტი (1800).

1796 წელს ერეკლე II, დავითი და ერეკლე ბატონიშვილები განჯის მმართველის ჯავად-ხანის წინააღმდეგ გაგზავნა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია აღა-მაჰმად ხანს საქართველოში ლაშქრობის დროს, ქართულმა ჯარმა ბატონიშვილების მეთაურობით განჯა აიღო, რის შედეგად განჯა ისევ საქართველოს მოხარუ გახდა. ამავე დროს სამშობლოში დაპრუნეს 1000 დატყვევებული ქართველი და სომები.

შიმშილის საშიშროებამ, რომელიც მოსალოდნელი იყო ტფილისისთვის, აძულა გიორგი ჩამოეტანათ პურის მარაგი ყარსიდან და ცხოვრების ეს სასიცოცხლო მოთხოვნოლობა გროვდებოდა ქართლში და კახეთის იმ ნაწილში, სადაც შემოსევა ნაკლებად იყო, ან სულ არ იყო. მოკლედ რომ ვთქვათ ტფილისში გიორგი ცოტა ხანს დარჩა და იქიდან გაემგზავრა სოფელ სალოლიში*, ადგილობრივ ყაზახ აგალარებთან* შესახვედრად.

აგალარებს და ადგილობრივ მაცხოვრებლებს, კარგად ახსოვდათ უფლისწულის სიმამაცე და დიდი სიხარულით მიიღეს იგი, ხოლო გიორგი ყველა საშუალებით ცდილობდა განეწყო მათთავი თავისი კეთილი განწყობა.

გიორგიმ იცოდა რომ დღე დღეზე ჩაესვენებოდა სამუდამოდ ერეკლეს მზე და დღეები მისი დათვლილიყო. ეს ეს იყო რომ გიორგი და მისი თანმხელები პირები უნდა დამჯდარიყვნენ ნასახემსებლად, როცა მას ეახლა თელავიდან ჩამოსული ზემოთ სენებული დიმიტრი ჯავახიშვილი სათანადო წერილით. გიორგიმ ითხოვა ჯვარი, წმინდა სახარება და იხმო თავისი ამაღლის წევრები: თავადები ივანე ორბელიანი*, ელიზბარ ფალავანდიშვილი*, ალექსანდრე მაყაშვილი და მღვდელი ელეფთერ ზურა-

*სალოლი -დაბა აზერბაიჯანის რესპ.აღსტაფას რაიონში.

*ალალარები -უფროსი, ზედამხედველი, ბატონ-პატრონი.

*იოვანე (ივანე) დავითის ძე ორბელიანი (1765-1808) - ორბელიანთა სახლის უფროსი, ქართლის მეფის სახლთუხუცესი, მენინავე სადროშოს სარდალი, გენერალ-მაიორი (1803).

*ელიზბარ იესეს ძე ფალავანდიშვილი (1758 - 1824), მეფე გიორგის ელჩი რუსეთის იმპერატორის კარზე.

ბიშვილი. შეიარაღებული აგალარების წრეში მოხვედრილი ხალ-ხის სახეებზე დაბნეულობა გამოიხატა.

- მშობელი ჩემი, - დაიწყო ლაპარაკი გიორგიმ, - ღმერთის ნებით მიიცვალა. მე - მისი უფროსი შვილი, ვარ ტახტის მემკ-ვიდრე. ვისაც უნდა შემფიცოს მე ერთგულებაზე, ვისაც არ სურს - ის თავისუფალია თავის არჩევანში.

გიორგის მომხრეები და მონინააღმდეგენი უყურებდნენ ერთმანეთს, შემდეგ მათ გარშემო მდგომ შეიარაღებული აგა-ლარების ბრძოს და... თავადი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი* პირველი ემთხვია ჯვარს. მას მიჰყვნენ სხვები.

- გაუმარჯოს მეფე გიორგის! - გაისმა მრავალრიცხოვანი შეძახილები.

1798 წლის 14 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოში გიორ-გი XII გამეფდა, რომელმაც ტახტის მემკვიდრედ დავითი გამო-აცხადა.

ერეკლეს შემდეგ ტახტი გიორგი ბატონიშვილმა კი დაიკავა, მაგრამ მან იცოდა, რომ ერეკლეს დადგენილი წესის შესრულე-ბის გარეშე ძმები მას ტახტის დაკავების საშუალებას არ მისცემ-დნენ. ამიტომ იძულებული გახდა, წერილობითი პირობა დაედო აღნიშნული წესის შესრულების თაობაზე. მიუხედავად ამისა, მოქიშპე ბატონიშვილებმა მისი სანინააღმდეგო კამპანია გააჩა-ლეს და გავლენიანი თავადების მომხრობა დაიწყეს.

ახალი მეფე თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა და დაქი-რავებული ლეკების იმედზე იყო. მით უმეტეს, რომ რუსეთიდან, რომელიც ევროპის საქმეებში იყო ჩაფლული, ჩამი-ჩუმი არ ის-მოდა. ასეთ ვითარებაში მას თითქოს შველად მოევლინა სპარსე-თის ახალი შაპის, ბაბა ხანის* (ფათ-ალი-შაპის) ელჩის მოსვლა, რომელიც მას სპარსეთის და ქართლ-კახეთის სამეფოს ძველი ურთიერთობის აღდგენას თავაზობდა. გიორგი სწრაფად დაე-თანხმა სპარსელთა წინადადებას, მაგრამ მოულოდნელად ბაბა

*იოანე (ივანე) კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (1755-1801) ქართლ-კახე-თის სამეფო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე

* ბაბა ხანი - აღა-მაჰმედ ხანის ძმისწული

ხანს ქვეყანაში ვითარება გაურთულდა და იძულებული გახდა, მოლაპარაკება შეეწყვიტა.

ამასობაში, 1798 წლის 21 თებერვალს, სვეტიცხოვლის ტაძარში მიწას მიაბარეს კიდევ ერთი, ღირსეული წარმომადგენელი ბაგრატიონთა გვარისა.

ერეკლე II უდიდესი კვალი დატოვა ქართველი ხალხის ისტორიაში. სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ლაშქრობაში გაატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაცით ცხოვრობდა. ხალხმა მას საალერსო სახელი „პატარა კახი“ უწოდა.

ერეკლე II პიროვნება, მისი საქმეები, ფართოდ აისახა ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. მისი სახელი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ქვეყნის თავდადებული მოამაგე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი, თავისი დროის მოწინავე კაცი. მოხუცებულობის მიუხედავად, მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკარგი იყო აფორიაქებული ქვეყნისთვის.

მეფე ერეკლე – ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი, პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის ნიჭით უხვად დაჯილდოვა ღმერთმა.

ქვეყნის გადარჩენისათვის ერეკლემ იმაზე მეტი გააკეთა ვიდრე შესაძლებელი იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემა და შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა შედეგი იყო დიდი პოლიტიკისა.

საქართველო დარჩებოდა იმას, ვინც სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთის ხანგრძლივ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდა. ეს გამარჯვება რუსეთს ერგო წილად.

ერეკლე მეორეს შთამომავლობა პატივს უნდა მიაგებდეს იმის გამო, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, დიდი პოლიტიკისაგან განწირული სამშობლოს გადარჩენას ცდილობდა.

მეფე ერეკლემ სამჯერ იქორწინა. ერეკლეს პირველი მეუღლე ქეთევან ვახტანგის ასული ყაფლანიშვილ-ორბელიანს* მიიჩნევენ, თუმცა არის ცნობა, რომ ერეკლეს პირველი მეუღლე იყო

ქეთევან ფხეიძე. მეორედ ერეკლემ იმერეთის თავად, ზაალ აბა-შიძის ქალიშვილზე – ანა აბაშიძეზე* იქორწინა. მესამე მეუღლე – დარეჯან დადიანი იყო. სავარაუდოდ ერეკლეს 24 შვილი ჰყავდა.

...მარტის დასაწყისი იყო და ვანო პაპა თავის ვენახში ფუს-ფუსებდა, ძალა და ჯანი ძველებურად აღარ ჰქონდა, მარა თავის გასაკეთებელ საქმეს ვენახში მაინც ახერხებდა და თანაც გიორგი ისეთი ყოჩაღი ყმაწვილი იყო რომ ყველა საქმე რო ძალ-ზე ადვილად გამოსდიოდა, გინდა სახლის სახურავის შეკეთება და გინდა ცხენისთვის ნალების გამოცვლა და საერთოდ ისეთი ბიჭი იყო რომ ძალიან ამაყობდა მისით. უკვე მჭედლობა და ხარზობა შესწავლილი ჰქონდა.

- პატარა კახმა თხუთმეტი წლის ასაკში მოიპოვა პირველი გამარჯვება ლეკებთან ბრძოლაში, შვილო, მაშა-ამოიოპრა ვანო პაპამ და ფიქრებში წავიდა...

- პაპა, ცუდად ხომ არ ხარ, - შეეშინდა გიორგის.

- არა, შვილო, ხომ იცი ჩვენ გვარში ას წელზე ნაკლები არავის უცხოვრია... ჩემმა პაპამ ას ოცი წელი იცხოვრა, მაშ... ასე რომ მე კიდევა ორმოცი წელი მტრის ჯინაზე უნდა ვიცხოვრო, ჩვენ განსაკუთრებულები ვართ - შენგელიძები, დაიმახსოვრე შვილო, შენსა და შენი დების გაბედნიერებას მინდა მოვესწრო... და მერე ნამიყვანოს მიქელ-გაბრიელმა თავისთანა თუ უნდა...

-ჩამოასხი ერთი ჭიქა ღვინო, დავილოცოთ რომა ხვალინდე-ლი დღე დღევანდელზე უკეთესი გვქონდეს.

უცებ ჭიქურიდან მოესმათ ნაცნობი ხმა:

- ვინმე არის სახლში?

- რომელი ხარ მანდა? - იკითხა ვანო პაპამ

- ვერ მიცანი, ვანო პაპა? დიმიტრი ვარ .

- ვახ ჩემო თავო, როგორ ვერ გიცანი ჩემო ბატონო, გიცანი... მობრძანდი, დაბრძანდი, ზუსტად რომ ვსადილობთ მე და ჩემი გიორგი.

*აბაშიძე ანა -იმერელი თავადის, ზაალ აბაშიძის ქალიშვილი

-აბა რა ამბავია ქვეყანაზე, რით გაგვახარებთ...

-გიორგი, ერთი ამ ჩემსა ცხენსა დასვენება მოუწყვე, ჯერ დავილოცო...

-ხო შენი ჭირიმე დაილოცე...

-ჩამოასხი ერთი ჭიქა ღვინო, დავილოცოთ რომა ხვალინდე-ლი დღე დღევანდელზე უკეთესი გვქონდეს.

დიმიტრიმ გადაჰკრა ჭიქა ღვინო, გატეხა ლუკმა და დაიწყო თავისი მოთხოვბა.

-მოკლედ ვანო პაპა, 21 თებერვალს დავკრძალეთ მეფე ერეკლე, ძალიან მძიმე მდგომარეობაა სამეფოში. ბატონიშვილები იულონის ირგვლივ დაირაზმნენ, მეფე გიორგი XII ვაჟები -იოანე*, ბაგრატი* და თეიმურაზი* თავის უფროს ძმას - დავითს უჭერენ მხარს. ბრძოლა ყოველდღიურად მწვავდება. სპარსეთის ახალი შაჰის, ბაბა ხანის ელჩის წასვლის შემდეგ, გიორგიმ ახალი სხვა გამოსავლის ძიება დაიწყო, მაგრამ ამასობაში რუსეთიდან ჩამოუვიდა ელჩობა, რომელიც თავის სიჩუმეს ევროპის საქმეებში გაბლანდვით ხსნის და ძველი ურთიერთობის გაახლებას გვთავაზობს. რუსეთში გაგებული პეტონიათ, რომ ვიდრე რუსეთიდან ხმა არ ისმოდა, ერეკლემ კინალამ სპარსეთის მფარველობა მიიღო, ამიტომ საიმპერატორო კარი ახლა საქმის გადადებას აღარ აპირებსო. მისი კარნახით, გიორგიმ პეტერბურგში მეორე ელჩი, გიორგი ავალიშვილი* გააგზავნა და იქაც სასწრაფოდ გადაწყიტეს მფარველობაში საქართველოს მეორედ მიღება.

რუსეთი ახლა გიორგისგან ოფიციალურ თხოვნას ელოდება. თხოვნაში გათვალისწინებული უნდა იყოს დავით გიორგის ძის ტახტის მემკვიდრედ აღიარება და საქართველოში 3 000 კაციანი რაზმის გამოგზავნა, რომელსაც რაიმე გართულების შემთხვევაში 7 000-იანი კორპუსი დაემატებაო.

*იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1866-1830) გამორჩეული მებრძოლი და სარდალი, შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII

*ბაგრატ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1776-1841) ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII ძე

*თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1782-1846), გიორგი XII ძე.

*ავალიშვილი გიორგი (1769-1850) ქართველი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე, დრამატურგი, მთარგმნელი, მოგზაური.

-რას ამბობ, დიმიტრი, მერე მაგას რა სჯობია, როგორც იქნა ეშველება ჩვენს ქვეყანას, მოესწრო მაინც ჩვენს მეფე ერეკლეს ამ ამბისათვის... - ამოიოხრა ვანო პაპამ.

-შველით კი ეშველება, მარა ამდენი უფლისნულის ბრძოლის და ქიშპის მსხვერპლი არ გახდეს ჩვენი მამული.... მე როგორც უყურებ, ასეთი სურათი იკვეთება....

-ეს როგორ?

-ჩვეულებრივად, ვანო პაპა, ეს ერთი ბეწო სამეფო ყველა უფლისნულს დაყოფილი აქვთ საუფლისნულოებათ, ტახტი კი-დევ ერთია, ყველას მეფობა უნდა... გიორგი კიდენა მძიმედ ავა-დაა, დიდი დრო არ უწერია, ყველაზე დიდი ერთი ან ორი წელი, არადა ორმოცდათორმეტი წლისაც კი არაა... რუსეთი შეხედავს რო ესენი აქ ვერ აგვარებენ თავიანთ საქმეებს და....

-და რა?

-რა და ერთ მშვენიერ დღეს, როცა მეფე გიორგი აღარ იქნება, აიღებს და შეგიერთებს...

-ეს როგორ შეიძლება?

-მე ვამბობ რომ შესაძლებელია ასე მოხდეს...

-რას ამბობ დიმიტრი? ისინი ხომ ქრისტიანები არიან და არა ურჯულოები, ამას როგორ იკადრებენ?

-თვითონ გაერკევიან, ვანო პაპა, მაგრამ მე ამისთვინ არ ჩამოვსულვარ აქ... შენი გიორგის წაყვანა მინდა ტფილისში... ტფილისი ძლიერ დაანგრიეს სპარსელებმა... ცხოვრება თავისი დინებით მიდის, მრავალჯერ მოსპეს მტერ-დუშმანებმა საუკუნეების მანძილაზე ჩვენი დედაქალაქი, და ყოველთვის შემდეგ შენდებოდა... ახლაც ასეა, მთელი სამეფოდან ხელოსნები მოგვყავს რომ აღვაშენოთ ტფილისი, ამასობაში იმედია რუსეთიც წაგვეხმარება და შემოსევებიც შეწყდება.

-აბა გიორგი, წამოხვალ ჩემთან დედაქალაქში? ცოლი მე არ მყავს და შვილი მე არ მყავს, გავზრდი, ხელობას შეისწავლის უკეთ, ჩემთან იცხოვრებს, ჯამაგირი დაენიშნება, მოგხედავს ვანო პაპა შენცა და თავის დებსა. ორი კაპიკი კიდენა სჯობია სულ არა რაობას, ასე არაა?

-ასეა ჩემო დიმიტრი, იყოს ასე, მე თანახმა ვარ, თვითონ თუა თანახმა?

გიორგის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისე გაუხარდა მას ეს ამბავი რო მადლობის ნიშნად ჩაეხუტა დიმიტრის და მო-ეფერა „კახელოს“

-აბა გაემზადე ვაუკაცო და, წავიდეთ წინ დიდი საქმეები გველოდება, ბედნივრად ვანო პაპა, თუ დააპირებთ ტფილისში ჩამოსვლას, მეტეხის უბანში იკითხე მიტო ჯავახიშვილი, იქ ყვე-ლა გეტყვის სადაცაა ჩემი სახლი.

-დაიცათ.-თქვა ვანო პაპამ და შებრუნდა სახლში,-რაღაცა უნდა მივცე ბიჭს.

ორიოდე წუთის შემდეგ გამოვიდა სახლიდან და გაუწოდა გიორგის ოქროს ბეჭედი ერეკლე მეფის ხელრთვით და დასძინა.

-შვილო გიორგი, ეს ბეჭედი მიბოძა მე პატარა კახმა, როცა ერთად ვიყავით ინდოეთის ლაშქრობაში, მას მერე ვინახავ თვა-ლის ჩინივით და შენც მაგას გიბარებ, გაუფრთხილდი მას!

-მადლობა პაპა! უძვირფასესი საჩუქარია ჩემთვის... თვალის ჩინივით გაუფრთხილდები მას, და ის არასდროს არ დაიკარგება შენგელიძეების გვარში!

-ეგეც საგზალი... - და ვანო პაპამ გადაჰკიდა ცხენს ხურჯინი.

პაპა-შვილიშვილი გადაეხვივა ერთმანეთს, გიორგი შემო-ახტა „კახელოს“, და აიღეს გეზი ტფილისისკენ.

„ტფილისის ზეცა“

დიმიტრი სახლობდა ფორაქიშვილის დარბაზის* გვერდით მდებარე სახლში, მეტეხის სასახლის შორიახლოს. სახლი ისე იყო განლაგებული, რომ ქვემო სახლის ბანი ზემოსათვის „ეზოდ“ იყო გამოყენებული. ორი პატარა ოთახი და სხვენი იყო მთელი მისი ავლა-დიდება. უნდა ითქვას, რომ მეტეხის უბანში სახლები მეტნაკლებად იყო გადარჩენილი აღას შემოსვეის შემდეგ, რასაც ვერ იტყოდი ავლაბარზე, რომელიც ძირფესვიანად იყო გადამწვარი.

ეს ეს იყო რომ ცოტა მოითქვეს სული, რომ გიორგიმ დაიწყო „კახელოს“, მოვლა-პატრონობა, როცა კარზე დააკაკუნეს.

-რომელი ხარ მანდა?

-დავითი ვარ, მიტო!

-შამო, რას აკაკუნებ, ჩვენს სულ ახლახანს გეახელით კახე-თიდან.

-რა ამბავია კახეთში, რაო როგორა ვართო?

-დაჯე ძმობილო, ლუკმა გავტეხოთ, თითო ჭიქით მოვიგონოთ ჩვენი მამა-მარჩენალი, ჩვენი მეფე ერეკლე, და ამოიოხრა სინანულით....

-ამაზე უარს ვერ გეტყვი, მითუმეტეს რომა დილიდან ლუკმა არ ჩამიდია პირში. მშენებლებზე მეთვალყურეობა დამავალა თავადმა ფარსადან ციციშვილმა.

უცებ კარმა დაიჭრიალა.

-ალბათ კატაა ან თაგვი, - მიუგო მიტომ.

-კი, ასეა, მხოლოდ ორფეხა კატაა ან თაგვი უნდა იყოს, სახელად მარტიროზა - ხმამაღლა გააგრძელა დავითმა.

-რა ხდება დავით, ერთი მომიყევი ძმობილო, რამე ახალია რაც მე არ ვიცი.

-ჩამოასხი და გეტყვი, ამას წინათ მუშები პურს ჭამდნენ, ხოდა შესანდობარი დალიეს პატარა კახისა და დარეჯან დე-

*ფორაქიშვილების დარბაზი - ტრადიციული ქართული საცხოვრებელი სახლი, რომელიც შეადგენდა ძველი თბილისის საცხოვრებლის ძირითად სახეს.

დოფლის დღეგრძელობისა არ თქვეს, მაგის წყალობით ქიშპობენ... არ ვიცი, როგორ რა, მარა მეორე დღეს მეფის შიკრიკები მოვიდნენ და წაიყვანეს და ჩაგდეს ციხის დილეგში ეგ ჩვენი მუშები. ეხლა ელოდებიან მეფის განაჩენს... აი რა ხდება..მეტი რა გითხრა, ახლა ირკვევა ბევრი რამ, თუ რატომ წავაგეთ ჩვენ ბრძოლა საჭურისთან...

-მაინც რატომ? - არ ეშვებოდა გიორგი.

-რატომო და იმიტომო, რომა სომები სოვდაგრების მეშვეობით იგებდა აღა საერთო მდგომარეობას ჩვენში, ზედმინევნით იცოდნენ ჩვენი ლაშქრის შესახებ ყველაფერი, რა შეიარაღება გვქონდა და რამდენი მეზარბაზნე გვყავდა, ამას კიდევ ის დაემატა რომა სპარსთა ელჩი, რომელიც ციხეში ჰყავდა მეფეს, გააპარეს და იმანაც დაუდასტურა ყოველებეს. საჭურისს კიდევა ტფილისელი სომები მელიქები - აბი და მეჯნუნი ულამაზე ბდენ მხარს... იმერლებმაც მოგვაყენეს ზარალი, როცა უკან ბრუნდებოდნენ, გზაში ქართლის მოსახლეობა ააწიოკეს, გაძარცვეს ადგილობრივი მოსახლეობა... ექვსი დღე ბოგინებდა სპარსი საჭურისი ტფილისში... ცამეტი ათასი ტყვედ წაიყვანა, რაც კი ავლა დიდება იყო მეფის ხაზინაში - ოქრო, ვერცხლი, როსიის იმპერატორის მიერ გამოგზავნილი გვირგვინი, სკიპტრა, პორფირა, დოროშა, ანდრიას ორდენი, რაც კი არსენალში ზარბაზნები იყო, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით წაიღო აღამა...

გიორგის ბრძანებით ტარდება ხალხის აღნერა და შემოაქვთ ფულადი გადასახადი სამეფო სასახლის ასაგებად, დღემდე მელიქ ბებუთას სახლში ცხოვრობს, მაგრამ შეკრებილი თანხა არაა საკმარისი და ხმარდება ეკლესიების კეთილმოწყობაზე... დაინტერეს სტამბის აღდგენაც. იძახიან რომა, მორიგე ჯარის აღდგენაც უნდაო, მაგრამ ძლიერ ავადაა, მოასწრებს კი...

მე როგორც უყურებ დღევანდელ მდგომარეობას, რას გეტყვით იცით, ერეკლე ხალხს უყვარდა, არა ნაკლებად უყვარს ხალხს დავითიც, კარგი მეომარია, რუსეთში მსახურობდა, ღენერალია, პოლქს მეთაურობს, ის წამდვილად უნდა იყოს მეფე და თავსაც გაართმევს.

-გვეშველება რამე დავით?

-თუ ისე გავაგრძელებთ ცხოვრებას როგორც ვცხოვრობ-დით როსიასთან ტრაქტატის დადების შემდეგ, არაფერიც არ გვეშველება, ჩემო მიტო... არ გახსოვს რა მოხდა მაშინ? აქაოდა ამხელა ვეებერთელა მოკავშირე გვყავსო და... მოდუნდნენ ჩვენი თავად-აზნაურები, ნაკლებად ფიქრობდნენ თავიანთ უსაფრთხოებაზე, და იმაზეც კი რომ ავართა ხანს შეეძლო თავისი შემოსევები გაეგრძელებინა ძველებურად და დააკისრა ერეკლეს ხუთი ათასი მანეთის ხარკი წელიწადში.

ეს ფული საიდან მიღიოდა? შენი და ჩემი ჯიბიდან, არადა თავად-აზნაურები თავისი ჯიბიდან გადაიხდიდნენ ამ ფულსა...

-ნუთუ არაა საშველი? - ჩაერთო საუბარში გიორგი.

-რატო არაა საშველი, შეილო, არის. ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ ჩვენს თავებს და ვიყოლიოთ ისეთი მეფე, რომელსაც ძლიერი ხასიათი და ნებისყოფა ექნება იმისთვის რომ დაამყაროს წესრიგი სამეფოში...

მიტო და დავითი გარეთ გამოვიდნენ სუფთა ჰაერზე, უკვე ბინდი ჩამონევა ტფილისზე, მხოლოდ მუეძინის ლოცვის ხმა ისმოდა მეტეხის ხიდიდან.

-ნეტავი მოვესწრებით ჩვენ დალაგებულ ქვეყანას, დავით?

-ჩვენ თუ ვერ მოვესწრებით, გიორგი ხომ მაინც მოესწრება, ჯერ ბალლია ოცი წლის, ცხოვრება წინა აქვს... კარგი ძმაო, და-მიღამდა, წავალ სახლში, გამოვიძინებ, ხვალ ბევრი საქმე მაქვს, აბა ძილი ნებისა, - და აუყვა ზემოდ მიმავალ ბილიკს.

როგორც გუშინდელი დღე, ისე კარგად ახსოვდა დიმიტრის, ქართლ-კახეთში ტრაქტატის გაფორმებას სიხარულით რო შეხვდნენ, გაიმართა საზეიმო ღონისძიებებიც, მაგრამ რუსეთთან დაკავშირებული მოლოდინები ფუჭი აღმოჩნდა, რაც მალე და-დასტურდა. რუსეთი არ აპირებდა სრულად შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები. ამავე დროს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის პროტექტორატში შესვლით უკმაყოფილო ოსმალეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაესაჯა ერეკლე II, საამისოდ მან მოუწოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ მუსლიმ ერებს ებ-

რძოლათ ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ და არ დაეშვათ რუსეთის სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება.

ოსმალთა მოწოდების შემდეგ ჩრდილოკავკასიელებმა გაახშირეს ქართლ-კახეთზე თავდასხმები, ისინი ძარცვავდნენ და წვავდნენ სოფლებს და ქალაქებს, იტაცებდნენ და მონებად ყიდვენ მოსახლეობას, მათ დახმარებას უწევდა ოსმალეთის ხელი-სუფლების ბრძანებით ახალციხის ფაშა.

იგი აბინავებდა საფაშოში ჩრდილოკავკასიელების მოთარეშე ბანდებს, ამარაგებდა საკუვებით, აიარალებდა და გზავნიდა ქართლ-კახეთის დასარბევად.

ქართლ-კახეთის მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებდა ისიც, რომ სამეფოს ესხმოდნენ ერთდროულად ორი მხრიდან, დალესტნიდან და ახალციხის საფაშოდან. სამეფო ლაშქარი ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში დაკავებული იყო თავდამსხმელების მოგერიებით, ხოლო რუსეთიდან გამოგზავნილი ორი ბატალიონი ვერანაირ ქმედით დახმარებას ვერ უწევდა სამეფოს მოთარეშებთან ბრძოლაში.

1785 წელს ოსმალეთის ნაქეზებით, ხუნდახის ხანმა ომარმა მთელს დალესტანში შეაგროვა 20 000 ლაშქარი და თავს დაესხა საქართველოს, თავდამსხმელებმა დიდი ზიანი მიაყენეს ქართლ-კახეთის სამეოს, მათ გაანადგურეს ახტალის სამთამადნო ნარმოება. რუსეთმა არანაირი დახმარება არ აღმოუჩინა საქართველოს, რითაც დაარღვია გეორგიესკის ტრაქტატი, სადაც ნათლად იყო განსაზღვრული, რომ რუსეთი ვალდებული იყო მტრის შემოჭრის შემთხვევაში დაეცვა ქართლ-კახეთი.

1787 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. რუსეთმა გაიწვია უკან 1783 წელს შემოყვანილი ორი ბატალიონი, რითაც კიდევ ერთხელ დაარღვია ტრაქტატი. დარჩა რა ოსმალეთის პირისპირ მიტოვებული, ერეკლე II იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკებები ოსმალეთთან და დაზავებოდა სტამბოლს, რითაც იხსნა თავისი სამეფო ოსმალეთთან ახალი ომის გაჩაღებისგან. რუსეთის დალატით იმედგაცრუებული სამეფო ოჯახის და თავად-აზნაურების

ერთი ნაწილი მოითხოვდა მეფისგან რუსეთთან ურთიერთობის განცვეტას, რადგან პრორუსულ პოლიტიკას ზიანის გარდა სხვა არაფერი მოჰქონდა მათთვის.

მაგრამ ერეკლე II საგარეო პოლიტიკა მაინც არ შეცვალა. 1791 წელს დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, თუმცა რუსეთს არც ომის დასრულების შემდევ დაუბრუნებია სამეფოში სამხედრო კონტიგენტი, რომლის ყოფნაც გათვალისწინებული იყო ტრაქტატით.

1795 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ახალი საფრთხე დაემუქრა, ამჯერად სპარსეთის მხრიდან, სპარსეთის შაჰია აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლე II გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმება და რუსეთთან კავშირის განცვეტა მოსთხოვა. გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგულმა მეფემ უარი განაცხადა შაჰის მოთხოვნაზე და საფრთხის შესახებ რუსეთის ხელისუფლებას შეატყობინა, იმის მიუხედავად რომ რუსეთის ხელისუფლება ფლობდა ინფორმაციას მომავალი ომის შესახებ რამდენიმე თვით ადრე და თავისუფლად შეეძლო გამოეგზავნა დამხმარე სამხედრო კონტიგენტი ერეკლესთვის, მან ეს არ გააკეთა. ამით მან აგრძნობინა სპარსეთს, რომ შეეძლო თავისუფლად ემოქმედა, რადგან რუსეთი ოში არ ჩაერეოდა და ამასთანავე კიდევ ერთხელ უხეშად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი.

1795 წელს 8-11 სექტემბერს გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა სპარსულ და ქართულ არმიებს შორის. ერეკლე II დაეხმარა იმერეთის მეფე სოლომონ II, (თუმცა ეს დახმარება უმნიშვნელო იყო), კრწანისის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანი დიდ რიცხობრივ უპირატესობას ფლობდა, მისი არმია შედგებოდა 35 000 რჩეულ მეომრისგან, ხოლო ქართლ-კახეთის და იმერეთის გაერთიანებული არმია მხოლოდ 5000 მეომრისგან. რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად ბრძოლის პირველი სამი დღე ქართველების გამარჯვებით დასრულდა, შაჰი წასვლას აპირებდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ერეკლე II უღალატეს, ტფილისის ციხიდან გააპარეს სპარსეთის ჯაშუში, რომელმაც აცნობა შაჰს, რომ ერეკლეს ძალები ეწურებოდა, ხოლო რეზერვი, რომლითაც

დანაკარგებს შეავსებდა, არ ჰყავდა და ტფილისელმა სომეხმა სოვდაგრებმა მელიქებმა აბომ და მეჯნუნმა, თავისი შავი საქმე შეასრულეს.

11 სექტემბერს სპარსელებმა გადამწყვეტი შეტევა მიიტანეს ქართველების პოზიციებზე, მთელი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ქართული არმია დამარცხდა და თითქმის მთლიანად განადგურდა. იმის მიუხედავად, რომ სპარსელებმა ორჯერ უფრო დიდი დანაკარგი განიცადეს დალუპულების და დაჭრილების სახით, რიცხობრივი უპირატესობის ხარჯზე მათ მაინც გაიმარჯვეს. მტერმა ტფილისი აიღო... ექვსი დღის მანძილზე გრძელდებოდა მტრის ბოგინი და შემდეგ გადაწვა, ქალაქში მცხოვრები 15 000 ადამიანი კი ან დახოცეს ან ტყვედ წაიყვანეს.

მას შემდეგ, რაც სპარსეთის შაჰმა თავის ლაშქართან ერთად დატოვა ქართლ-კახეთი. რუსეთში დაიწყეს ფიქრი სპარსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების შესახებ, პირველი ამოცანა ქართლ-კახეთის სამეფოს ისე დასუსტება იყო, რომ მას რუსეთისთვის წინააღმდეგობის განევა ანექსის შემთხვევაში აღარ შესძლებოდა, ახლა საჭირო იყო რეგიონიდან სპარსეთის განდევნა, ამიტომ სანქტ-პეტერბურგში ომის დაწყება გადაწყვიტეს.

1796 წლის გაზაფხულზე რუსეთმა ომი გამოუცხადა სპარსეთს, რუსეთის 35 000 არმია 25 წლის ცალფეხა გენერალ ვალე-რიან ზუბოვის* მეთაურობით შეიქრა სპარსეთის ტერიტორიაზე. რუსები თავიდანვე დაეუფლენ უპირატესობას და სწრაფად მიაღწიეს წარმატებას. მათ აიღეს დარუბანდი, ყუბა და ბაქო, ხოლო ნოემბრისთვის უკვე მტკვრის და არაქსის შესართავთან მივიდნენ. აქედან ისინი კიდევ უფრო სამხრეთით გასალაშქრებლად ემზადებოდნენ. თუმცა მოულოდნელად ომი შეწყდა, გარდაიცვალა იმპერატრიცა ეკატერინე II.*

*ზუბოვი ვალერიან (1771-1804) რუსი გენერალი, რომელიც ხელმძღვანელობდა 1796 წლის სპარსეთის ექსპედიციას

*ეკატერინე II დიდი (1729-1796) რუსეთის იმპერატორი (1762-1796)

მისი ადგილი პავლე I დაიკავა, რომელმაც არ ჩათვალა საჭიროდ ომის გაგრძელება და არმია უკან, რუსეთში გაიწვია.

ასეთი იყო რეალობა. ტფილისის აღების და განადგურების შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. თუმცა მოხუცებულმა მეფე ერეკლე II მაინც შეძლო აღედგინა კონტროლი, როგორც სამეფოზე, ასევე მოსაზღვრე სახანოებზე, რომლებიც ქართლ-კახეთის ვასალები იყვნენ.

ასევე ერეკლე ემზადებოდა აღა-მაჟმად-ხანთან საომრად და რევანშის ასაღებად, ამჯერად მას უკვე აღარ ჰქონდა რუსეთის იმედი და მხოლოდ საკუთარი ძალებით აპირებდა გამკლავებოდა მტერს.

1797 წელს შაჰი შემოიჭრა კიდეც სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ იგი შეთქმულებას ემსხვერპლა, ქართლ-კახეთს და სპარსეთს შორის ომის საფრთხე მოიხსნა.

1798 წლის 11 იანვარს ერეკლე II სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა, მისი ადგილი გიორგი XII დაიკავა. გიორგის გამეფების შემდეგ სამეფოში მდგომარეობა უფრო გართულდა, გახშირდა ჩრდილოკავკასიელების თავდასხმები, ამავე დროს მეფეს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა თავის ძმებთან,

რომლებსაც სურვილი ჰქონდათ, რომ მძიმედ ავადმყოფი გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ მეფეები ისინი გამხდარიყვნენ და არა გიორგის უფროსი ვაჟი, უფლისწული დავითი.

გიორგი XII თავისივე რწმუნებით, ერეკლეს სიცოცხლეშივე უკმაყოფილო იყო 1783 წლის ტრაქტატის პირობებით, და საჭიროდ მიიჩნევდა რუსეთისადმი მეტ მორჩილებას და მეტ დამოკიდებულებითი ურთიერთობის დამყარებას.

ახლა, როცა მეფე გახდა, საშუალება მიეცა მისი გეგმის განხორციელებისა; რაც მთავარია, ქართლ-კახეთში არ ჩანდა ძლიერი პიროვნება, რომელიც ამ განწყობილებას დაუპირისპირდებოდა.

ერეკლეს ანდერძის გიორგის მიერ თვითნებურმა შეცვლამ, ბატონიშვილებთან ერთად მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა გააღიზიანა.

ბატონიშვილები ერთხმად გიორგის უპირისპირდებოდნენ, მაგრამ არც ერთმანეთში ჰქონდათ სიამტკპილობა. მათი ურ-თიერთნინააღმდეგობა ძირითადად საუფლისწულოების არა-თანაბარი განაწილებით იყო გამოწვეული. ამ მიზეზით ყველაზე მეტად ალექსანდრე ბატონიშვილი დაზარალდა, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ სამშობლო მიატოვა და სპარსეთს შეაფა-რა თავი.

1798 წლის 16 დეკემბერს გარსევან ჭავჭავაძემ საიმპერა-ტორო კარს წარუდგინა თხოვნა არა მფარველობის, არამედ პროტექტორატის შესახებ. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგი-ამ ამაზე დაუყონებლივ დადებითი პასუხი გასცა.

საქართველოში 3 000 კაციანი რაზმი გამოგზავნეს, არტი-ლერიით, ხოლო სრულუფლებიან წარმომადგენლად სასტატო მრჩეველი პეტრე კოვალენსკი დაინიშნა. ამასთან იმპერატორმა პავლემ გამოატანა კავალენსკის სამეფო სამკაულები და სამე-ფო ნიშნები:

1. ოქროს სამეფო გვირგვინი, შიგა-და-შიგ ძვირფასის თვლე-ბით შემკული;
2. სკიპტრა, ძვირფასის ქვებითვე მოჭედილი;
3. ხმალი, ოქროთი და ძვირფასის თვლებით შემოსილი;
4. სამეფო პორფირი ყარყუმის ბენვისა, შვინდისფერ ხავერდის საპირეთი, მასზედ ქარგით ნაკერი გერბი რუსეთისა და სა-კართველოსი;
5. თეთრი დროშა ორ-თავიან არწივითა, შუაგულში რუსეთის გერბი ჰქონდა;
6. სამეფო ტახტი შვინდისფერის ხავერდით გადაკრული, პრტყელის ოქრომკედის არშიებითა და ოქროსმკერდისვე დიდრონ ფოჩებით მორთული, და ამისთანავე სამი ბალიში; შუაგული ტახტისა ეჭირა საქართველოს გერბსა და აქეთ-ი-ქიდან რუსეთის გერბს;
7. ტახტთან ერთად ორი პატარა მაგიდა, ხავერდითვე გადაკ-რული და ოქრომკედით მორთული; თვითონეულ მაგიდისთ-ვის თითო ბალიში, რომელზედაც დადებულ უნდა ყოფილი-

ყო სამეფო ნიშნები: ერთზე გვირგვინი და სკიპტრა, მეორე-ზე ხმალი და უმაღლესი გრამოტა;

8. სამი ორდენი, ალმასებით შემკული, ერთი წმიდა მოციქულის ანდრია პირველნოდებულისა - მეფე გიორგისათვის, მეორე დიდნამებულის ეკატერინესი - დედოფალ მარიამისათვის, და წმიდა ანას პირველ ხარისხისა - მემკვიდრე დავით ბატონიშვილისათვის.

ამას გარდა, იმპერატორმა პავლემ გამოუგზავნა კავალენსკის ხელითვე ძვირფასი ნივთები მარიამ დედოფალსა, ბატონიშვილებსა, კარის ეკლესიის მღვდელს, სიძეს მეფისას მუხრან-ბატონს და სიმამრს მეფისას თ. ციციშვილს.

გარდა ამისა საჩუქრები ერგოთ:

1. დედოფალ მარიამს - ყვავილების ოქროს თაიგული (ბრილი-ანტებით) და მდიდრული რუსული კაბა სამეფო მოსასხა-მით და ყუნწებითურთ;
2. შვიდივე უფლისნულს - მდიდრული ბეჭდები, მერვე უფლის-ნულს კი - ოქროს საათი მარგალიტით;
3. მეფის ორ ქალიშვილს - გაიანეს (ოქროს საათი ბრილიანტე-ბით და ოქროს ძენკვით) და თამარს - ბრილიანტის ბეჭედი;
4. მეფის სულიერ მოძღვარს - არქიმანდრიტ ევგენის - ოქროს ჯვარი აკვამარინებით, ბრილიანტებით და ოქროს ძენკვით;
5. მეფის სიძეს, ივანე ბაგრატიონს - ოქროს თამბაქოს კოლო-ფი ფერწერული ემალით და ბრილიანტის შიგთავსით;
6. მეფის სიმამრს - თავად ციციშვილს, ბრილიანტებით მოჭე-დილი ბეჭედი დიდი ძონის ქვით.

გარდა ზემოთხსენებულისა იმპერატორი პავლე I უგზავნი-და გიორგი XII სიგელს, რომელიც იუნიებოდა, რომ:

„.... რუსის ჯარი იგზავნებოდა ქართლ-კახეთის სამეფოში მხოლოდ ერთი მიზნით - რათა მეზობელმა მმართველებმა ნახონ და დარწმუნდნენ, რომ მეფე გიორგი იმყოფება რუსეთის იმპე-რიის უმაღლეს მფარველობაში, თუმცადა გამოგზავნილი ჯარი არაა იმსელა რომ გაუნიოს სპარსელების შემოსევას (თუ ასეთი იქნება) წინააღმდეგობა, მარა ქართველებთან ერთად შესძლებს ძალების მოგეირებას.“

1799 წლის 18 აპრილს პავლე I სიგელით აღიარა რუსეთსა და ქართლ-კახეთის შორის დადებული ხელშეკრულება, გიორგი დამტკიცებულ იქნა მეფედ, დავით გიორგის ძე კი - ტახტის მემკვიდრედ.

საიმპერატორო კარის ასეთი უჩვეულო ხელგაშლილობა იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს უკვე საკუთარ შემადგენლობაში განიხილავდნენ.

1799 წლის 7 სექტემბერს, ქართველმა ელჩებმა რუსეთის ხელისუფლებას წარუდგინეს წინადადება ორ ქვეყანას შორის ახალი ურთიერთობის დამყარების შესახებ, რომლის ძალითაც, ქართლ-კახეთის სამეფო მთლიანად რუსეთის იმპერატორს უნდა გადასცემოდა, საქართველო კი მასში გუბერნიის უფლებით შესულიყო ერთადერთი მოთხოვნით, რომ პავლე I მიეცა წერილობითი გარანტია გიორგის და მისი შთამომავლობისათვის მეფობის ტიტულის შენაჩუნებისა. არის ვარაუდი, რომ ეს წაბიჯიც საქართველოს მეფემ რუსეთის კარნახით გადადგა.

საქმე ის არის, რომ 7 ნოემბერს დაწერილ ნოტის საფუძველზე, იმავე წლის 23 ნოემბერს უკვე შემუშავებული იყო ახალი ტრაქტატი პავლე I და გიორგი XII შორის. თუ მანძილის სიშორეს გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ ეს დოკუმენტი ადრევე იყო შემუშავებული.

ახალი შეთანხმებით, რუსეთის იმპერატორი იმატებდა ქართლ-კახეთის მეფის ტიტულს. სამეფოს მმართველად ინიშნებოდა გიორგის სახლის ერთ-ერთი წევრი - იმპერატორის მოადგილის ტიტულით და ეს სტატუსი გვარში სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო. მეფესთან მიმაგრებული იქნებოდა რუსი მოხელე, რომლის კარნახით ყველაფერი წყდებოდა. მეფეს ენიშნებოდა ჯამაგირი, ხოლო რუსეთში მიეცემოდა სოფლები. სამეფოს მთელი შემოსავალი კი რუსეთის ხაზინაში გადადიოდა და ა. შ.

აშკარაა, რომ ამ ტრაქტატით საქართველო ყველა თავის სახელმწიფოებრივ პერსპექტივას კარგავდა.

ნოტაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთთან ამგვარი სიახლოვის მსურველია ქვეყნის როგორც საერო, ისე სასულიერო ნა-

წილი. ასე რომ ყოფილიყო, მისი მომზადება ასეთი მკაცრი სა-იდუმლოებით არ იქნებოდა მოცული. თვით მემკვიდრე დავით ბატონიშვილმა მისი მომზადების შესახებ არაფერი იცოდა. როცა უკანასკნელ მომენტში მას დოკუმენტის შინაარსი გააცნეს, თურმე გაოგნებულმა ისლა წამოიძახა: “მამაჩვენმა ყელში დანა გამოგვისვაო”.

დოკუმენტი აშკარად კაპიტულანტური იყო, მაგრამ ვითარების შემობრუნების რაღაც დეტალებს მაინც შეიცავდა: მეფის ტიტულის ინვესტიტურის ნიშნების შენარჩუნებას, ფულის მოჭრის უფლებას, თუმცა ორმაგი ნიშნებით და, რაც მთავარია, უფლებების შენარჩუნების მოთხოვნა განჯასა და ერევანზე.

„რუსეთის მზაკვრული გეგმები“

„...მდიდარი და სამოთხისებური ჰავით შემკული მხარის... რუსეთთან შეერთებით იმპერიას შეემატება ბარაქიანი და ხვავ-რიელი მიწები, კავკასიის ხაზს აღარ გაუჭირდება იმიერკავკა-სიის ხალხების დამორჩილება. ...ოფომანთა პორტასთან უთანხ-მოების შემთხვევაში კი ქართლ-კახეთის მხრიდან რუსეთის გან-კარგულებაში იქნება მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტები“.

ასეთი იყო მოკლე მოხსენებითი ბარათი, რომელიც ედო მა-გიდაზე რუსეთის ახალ იმპერატორს პავლეს, რომელიც მოაწო-დეს მას საგარეო უწყებიდან.

იმპერატორი ჩაფიქრებული იდგა ფანჯარასთან და გასც-ქეროდა სასახლის მოედანს, სადაც მიმდინარეობდა მზადება მორიგი სამხედრო აღლუმისათვის... მისი ყურადღება მიიქცა საარტილერიო ბატალიონის ახალგახრდა პოდპოლკოვნიკმა ვლადიმერ იაშვილმა*, რომელიც საკმაოდ კარგად მეთაურობდა პირად შემადგენლობას.

რაღაც ხნის შემდეგ იმპერატორმა ზარი ააწკრიალა. ოთახ-ში შემოვიდა მისი პირადი კამერდინერი ივანე კუტაისოვი*.

-შენ მგონი ქართველი ხარ არა როგორც იაშვილი?

-კი ჩემი იმპერატორო, წარმოშობით, მაგრამ ენა არ ვიცი ქართული, რაც ვიცოდი ისით დამავიწყდა... - სინანულით მიუგო კუტაისოვმა.

-ხოდა, ჩემო უერთგულესო მეგობარო, ვფიქრობ მოგიწევს მალე მშობლიური ენის გახსენება...

-გამოიძახეთ ჩემთან საიდუმლო მრჩეველი სერგეი ლაშქა-როვი*.

-არის ჩემო მბრძანებელო.

*ვლადიმერ იაშვილი (1764-1815), გენერალ-მაიორი (1800)

*კუტაისოვი ივანე (1759-1834), გრაფი და ბარონი (1799), პავლე I ფავორიტი

*ლაშქაროვი სერგეი (ბიბილური) (1739-1814), ქართული წარმოშობის რუსი დიპლომატი

ვინ იყო ეს სერგეი ლაშკაროვი, რომლის ყურადღებაც მი-იპყრო რუსეთის იმპერატორმა. მისდამი მოწოდებული ინფორ-მაციით კი ირკვეოდა შემდეგი.

მამამისი, ლაშკარ ბიბილური ჩავიდა რუსეთში მეფე ვახ-ტანგ VI ამალის შემადგენლობაში, თვითონ კი დაეწერა სახელის და მიხედვით - ლაშკაროვად, შვილი სერგეი შეეძინა მოსკოვში 1739 წელს.

1762 წელს ახალგაზრდა ლაშკაროვი გაიგზავნა უცხოეთის საქმეთა კოლეგიაში აღმოსავლური ენების შესასწავლად და 1767 წელს მიავლინეს რეზიდენტ ალექსი ობრეზკოვთან*.

ოსმალეთ-რუსეთის 1768-1774 წლების ომის დროს, ოსმა-ლეთის სულთანმა ის დაიტოვა საელჩოში. იგი მთლიანად წარ-მართავდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს სულთანსა და რუ-სეთის ხელისუფლებას შორის, და, მიუხედავად მასზე გამუდ-მებული თვალთვალისა, ახერხებდა მიმოწერას დატუსალებულ რეზიდენტთან, რუსულ ფლოტთან ერთად არქიპელაგში მყოფ გრაფ ორლოვთან,* და გრაფ რუმინცევთან*.

ლაშკაროვმა მოასწრო რუსი ვაჭრების საქმეების წარმატე-ბით მოგვარება და გამოგონილი სახელებით ოსმალეთის არეე-ბიდან სხვადასხვა უცხოური გემების მეშვეობით მათი რუსეთ-ში გამომგზავრება ჰოლანდიის გავლით. იმხანადვე მიაწოდა უმნიშვნელოვანესი საიდუმლო ცნობები თავად გოლიცინს* პეტერბურგსა და ვენაში. მისიის სათავეში მყოფი ლაშკაროვი მხარს უჭერდა დაწყებულ მდელვარებებს ეპირსა და საბერ-ნეთში. არაერთხელ ემუქრებოდა მას სიკვდილი ოსმალთა ხე-ლიდან, მაგრამ ყოველთვის იძვრენდა თავს მოხერხებულობის, თურქული ენისა და თურქების ხასიათის ცოდნის წყალობით. როდესაც ოსმალეთმა მისი თურქეთში ყოფნა არასაჭიროდ ჩათ-

*ობრეზკოვი ალექსი (1718-1787), რუსი დიპლომატი

*ორლოვი გრიგოლ (1734-1783), ეკატერინე II ფავორიტი, გენერალი

*პეტრე რუმინცევი (ზადუნაისკი) (1725-1796), გენერალ-ფელდმარშალი

*გოლიცინი ალექსანდრე (1723-1807), რუსი დიპლომატი

ვალა, ობრეზეკოვის ოჯახთან ერთად 1771 წელს ის გამოემგზავრა რუსეთში და 1772 წელს ჩამოვიდა პეტერბურგში, სადაც ის დაინიშნა „სამი კოლეგიის მთარგმნელად“.

ლაშქაროვი მონაწილეობდა ფოქშანის კონგრესზე, შემდეგ არქიპელაგზე რუმიანცევისგან მნიშვნელოვანი ცნობებით - დავალებებს ასრულებდა დიდი რისკის ფასად. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ პოლკოვნიკ პეტერსონთან* ერთად გაგზავნილი იყო კონსტანტინოპოლში ტყვევების გასაცვლელად. იქიდან გაეშურა დარდანელს 30 სავაჭრო გემზე არქიპელაგის სხვადასხვა კუნძულებიდან იქაურ მცხოვრებთა ტაგანროგში გადასასახლებლად. ლაშქაროვის ოსმალებთან კეთილი ურთიერთობით და დიპლომატიური ნიჭიერებით, დარდანელში გატარებულ იქნა არა მარტო სავაჭრო გემები, არამედ სამხედრო ფრეგატაც, რაც იმ დროისათვის კონვენციის დარღვევა იყო.

მას შემდეგ რუსული სამხედრო გემები დაუბრკოლებლივ იყენებდნენ დარდანელით სარგებლობის უფლებას. ამ წარმატებისთვის ლაშქარიოვმა მიიღო „კოლეგიის ასესორის“ ჩინი, მამული ეკატერინბურგის გუბერნიაში და 100 სული გლეხობისა.

1779 წელს დაინიშნა კონსულად სინოპში, 1780 წელს - გენერალურ კონსულად მოლდავეთში, ვლახეთსა და ბესარაბიაში და ქმედით მონაწილეობას იღებდა ოსმალებთან მოლაპარაკებაში, ვაჭრობისა და გადმოსახლებულების საკითხებში. წარმატებების მიღწევის შემდეგ იგი 1782 წელს დაინიშნა რეზიდენტად უკანასკნელ ყირიმელ ხან შაგინ-გირეისთან*. 1783 წელს ის ყირიმს გაემგზავრა.

მას წაყენებული ჰქონდა ამოცანა: შაგინ-გირეი უნდა გამოსულიყო ოსმალეთის მფარველობიდან, დაეტოვებინა ყირიმი და გადასახლებულიყო რუსეთში, რაც ყირიმს საბოლოოდ დაუქვემდებარებდა რუსეთს. ლაშქარიოვმა სულ მალე მიაღწია ხანის კეთილგანწყობას;

*პეტერსონი ქრისტეფორე (1735-1789), პოლკოვნიკი, რუსი დიპლომატი
*შახინ გირეი (1745-1787), ყირიმის სახანოს უკანასკნელი ხანი (1777-1783)

უკვე 1783 წელს ათხოვნინა მფარველობა ეკატერინე II და რუსეთში გადასახლების უფლება! ამ დიპლომატიური წარმატებული ონინისათვის ლაშქაროვმა მიიღო კანცელარიის მრჩევლის ჩინი და 400 სული ყმა-გლეხისა ბელორუსიაში. ამას გარდა იმპერატრიცამ საკუთარი ზარდახშიდან გადაიხადა მისი ვალები 12000 რუბლის ოდენობით და აჩუქა ბრილიანტის ბეჭედი.

ხანი, რომელიც ტამანში დასახლდა, არ აპირებდა აქედან დაძვრას, მაგრამ ლაშქაროვმა დაარწმუნა ვორონეჟში, ორიოლში ან კალუგაში გადასვლის უპირატესობაში.

1784 წელს ხანი დაჰყვა მის ნებას და ამ წლიდან ლაშქარიოვი გახდა მისი პრისტავი და დაჰყვებოდა ხანს ყველგან, სადაც კი ის გადაადგილდებოდა - დაჰყებული ვორონეჟიდან, ყველა სხვა ქალაქში. ხანი ცოტა არ იყოს, გაუწყრა ლაშქაროვს, როდესაც ყირიმი რუსეთმა თავის იმპერიაში შერთულად გამოაცხადა, ვერაგობაში ამხილა, მაგრამ მაინც კიდევ სხვა რუსებზე უფრო დადებითად ეკიდებოდა.

ყირიმის მიერთებისათვის ლაშქაროვი სრულიად განსაკუთრებული პატივით იქნა შემკობილი საიმპერატორო კარზე. 1786 წელს ის დაინიშნა რწმუნებულად სპარსეთის საქმებში, მაგრამ პოტიომკინმა* თავისთან დაიტოვა საგანგებო დავალებებისათვის.

1786 წელს ის გაემგზავრა კონსტანტინოპოლიში, ოსმალეთან მოსალაპარაკებლად, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უფლისწულების მიერ რუსეთისათვის მფარველობის თხოვნასთან დაკავშირებით.

ლაშქაროვი დარჩა პოტიომკინის* განკარგულებაში, რომელიც ამ დროს ყირიმში იყო; ლაშქაროვი თან ახლდა ეკატერინეს ტავრიაში მოგზაურობის დროს. ის ახლდა პოტიომკინს ოსმალეთთან მეორე ომში ომის დასასრულამდე.

*პოტიომკინი გრიგორი (1739-1791), ეკატერინე II ფავორიტი, გენერალ-ფელდმარშალი

1786 წლიდან იყო ჩართული ქართულ მოლაპარაკებებში და წარმატებისათვის 1787 წლის 16 დეკემბერს მიიღო 400 სული პოლტავის გუბერნიაში, ხოლო 1788 წლის 22 ნოემბერს ებოძა მამული ყირიმში. მაშინ მიენიჭა „სასტატო მრჩევლის“, ჩინი და ოჩაკოვის აღების შემდეგ პეტერბურგში ჩამოუძღვა დატყვევებულ ოჩაკოვის ფაშას. შემდეგ იყო მოლდავეთის სამთავროს მმართველი; რამდენიმეგზის იყო მივლინებული დიდ ვაზირთან საზავო მოლაპარაკებისათვის; 1791 წელს მიიღო მადლობა რომის პაპისაგან, რადგან ამ მოლაპარაკებებზე ყურადღებას იჩენდა კათოლიკების საზრუნვავებისადმი მოლდავეთში.

ლაშქაროვი დაინიშნა მესამე რწმუნებულად ზავის ჩამოსაგდებად – მონაწილეობდა ყველა 13 კონფერენციაზე 1791 წლის 10 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე და ხელი მოაწერა მშვიდობიან ტრაქტატს. ამისთვის მიიღო „ნამდვილი სასტატო მრჩევლის“ ჩინი, რომელიც უთანაბრდებოდა სამხედრო გენერალ-მაიორის წინდებას და 565 სული მინსკის გუბერნიაში. ზავის დადების შემდეგ დაინიშნა აზიის დეპარტამენტის საქმეთა მმართველად, იმპერატრიცისათვის პირადი მომხსენებლობის უფლებით.

იმპერატორმა პავლე პირველმა კი დაინიშნა ლაშქაროვი უცხოეთის საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის, აზიის დეპარტატა-მენტის წევრად და უბოძა მას მამული ლიტვის გუბერნიაში.

ამდენად, პეტერბურგში იმპერატორის კარზე და მმართველ ელიტაში აეტიურად ყალიბდებოდა თვალსაზრისი ქართული სამეფო-სამთავროების იმპერიის შემადგენლობაში ჩართვის შესახებ.

რუსეთის პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და ეკონომიკურ ინტერესებს ხელს აღარ აძლევდა სამხრეთ კავკასიაში ვასალურ სამეფოთა შექმნა. ის მათ დაპყრობაზე და ტერიტორიების ოკუპაცია-ანექსიაზე იწყებდა გადასვლას.

რუსეთის ექსპანსია სამხრეთ კავკასიაში ხანგრძლივი, წინააღმდეგობებით აღსავსე ურთულესი პროცესი იყო, რომელიც, პრაქტიკულად, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობით დაიწყო.

ამიტომ პავლე პირველის გეგმა იყო ასეთი; ჩაერთო ამ დიდ საქმეში რუსეთში დასახლებული და სახელმწიფოსა და სამხედრო სარბიელზე დაწინაურებული გარუსებული ქართველები და მათი ხელით თავისი მზაკვრული განზრახვები აესრულებინა.

სწორედ ასეთ პიროვნებად მიიჩნია პავლემ რუსეთში დაბადებული და გაზრდილი სერგეი ლაშქაროვი, რასაც ვერ იტყვიდა ივანე კუტაისოვზე, მართალია ის კი იყო დაბადებული ქუთაისში, მაგრამ პოლიტიკისგან ძან შორს მდგარი ადამიანი იყო და კი-დევ ერთ ქართველზე - მიხეილ დონაუროვზე* (დონაურზე), რომელიც განაგებდა საიმპერატორო კარის მინისტრთა კაბინეტს 1797 წლიდან და ისიც იყო დაბადებული რუსეთში. ამ სამი ადამიანისგან მაინც უპირატესობას ანიჭებდა სერგეი ლაშქაროვს...

როგორც კი დაამთავრა პავლემ ლაშქაროვის შესახებ ინფორმაციის წაკითხვას, კაკუნის გარეშე შემოვიდა გრაფი კუტაისოვი:

-საიდუმლო მრჩეველი სერგეი ლაზარევიჩი ლაშქაროვი გეახლათ, ჩემო იმპერატორო!

-შემოვიდეს!

-მოგესალმებით სერგეი ლაზარევიჩ,-მიესალმა მას პავლე,- და შეეგება თავის სტუმარს,- მაპატიეთ რომ შეგაწუხეთ, მაგრამ როგორც ყოველთვის სახელმწიფო საქმეები არ ითმენს და თქვენი რჩევები გვჭირდება რიგ საკითხებში, რომელიც ასე ფასეული იყო დედიჩემისთვის, და ეხლა მეც მჭირდება. თქვენ ასეთი პოფესიონალი ხართ აღმოსავლეთის საკითხებში და თუ თქვენ არ შეგეკითხებით აბა ვის უნდა შევეკითხო, ასე არაა?

- ჩემო იმპერატორო, თქვენი მონა მორჩილი მთელი ყურადღებით გისმენთ.

ლაშქაროვი ძველი, შებერტყილი დიპლომატი იყო და როგორც კი მოახსენეს რომ მას იხმობს იმპერატორი, უკვე იცოდა რისთვისაც იბარებდა მას. იცოდა რომ განხილვის საგანი იქნებოდა საქართველო და საქართველოს საქმეები, და საუბარი

*დანაუროვი (დონაური) მიხეილი (1757-1817), 1797-1799 წლებში რუსეთის მინისტრთა კაბინეტის მმართველი, გენერალ-მაიორი (1796)

დაინტერესულმა, რაზეც თავისი გაოცება ვერ დამალა იმპერატორმა:

-თქვენ რა ჩემს ფიქრებს კითხულობთ, სერგეი ლაზარევიჩ?

-არა არ ვკითხულობ, ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება... მაგრამ დაუბრუნდეთ კავკასიის საკითხს, კონკრეტულად რა გვაინტერესებს?

-რომელ ენებს ფლობთ?

-ოჯახიდან ათვისებული ქართულის გარდა ვფლობ რუსულს, თათრულს, ძველ და ახალ ბერძნულს, თურქულს, არაბულს, სპარსულს, ფრანგულ, იტალიურ და სომხურ ენებს, სულთანობრივ ენას.

-სასწაულია! თქვენ იცით რომ ჩვენ ქართლ-კახეთის სამეფოსთან გვაკავშირებს სამოკავშირეო ტრაქტატი, რომელიც დედიჩემმა სათანადოდ ვერ დააფასა და მაშინ როცა ჩვენ დაკავებულები ვიყავით პოლონეთის ამბებით ვერ მივეხმარეთ ჩვენს მოკავშირეს მეფე ერეკლეს, მე რომ მაშინ ვყოფილიყავი იმპერატორი ორ ბატალიონს კი არა და მთელ კორპუსს გავაგზავნი-დი ერეკლეს დასახმარებლად. თქვენ ქე იცით როგორ აფასებდა მას პრუსის მეფე, დიდი ფრიდრიჰი*, გაანათლოს მისი სული უფალმა...

მაგრამ რაც მოხდა მოხდა, ხალხი დაეღუპათ, სამეფო ააოხრა აღამ და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ - ტრაქტატის პირობები შესასრულებელია, თორემ მერე იტყვიან ევროპაში, რომ რუსეთმა ერთმორწმუნე ქრისტიანი ერი განირაო და არ მიეხმარაო. მართალია მათი მოსისხლე მტერი აღა მაგომედი გამოასალმეს ტყვეებმა სიცოცხლეს და შემოსევის საშიშროება მოხსნილია, მაგრამ რამდენი ხნით?

სპარსეთს თავისი პრობლემები აქვს, ოსმალეთსაც არა მგონია რომ ახლო მომავალში სურვილი გაუჩნდეს ლაშქრით საქართველოზე წამოვიდეს. ამიტომ თქვენი ხედვა მაინტერესებს.

-მოგახსენებთ ჩემი იმპერატორო. ჯერ ერთი ჩემთვის დიდი პატივია რომ ჩემი ისტორიული სამშობლოს ირგვლივ წამოჭრილ

*ფრიდრიჰ II დიდი (1712-1786), პრუსიის მეფე

საკითხებზე მაქვს ბედნიერება გავწიო სათანადო მუშაობა. მეორეც ისაა, რომ ჯერ კიდევ ბოლო ომის დროს ოსმალებთან, დედითქვენმა დამავალა საქართველოს საკითხებში გარკვევა, რამე თუ ტრაქტატი უკვე დადებული იყო და მე ხშირი მიმოწერა მქონდა როგორც მეფე ერეკლესთან, ასევე მის შვილებთან, მაშინ გაგანია ომის დროს დედითქვენმა, მიუხედავად იმისა რომ ერეკლესთან აკავშირებდა სამოკავშირეო ტრაქტატი, ის ორი ბატალიონიც კი გაიყვანა და დატოვა ერეკლე თავისი ძალების ამარა... მოკავშირეებს ასე არ ექცევიან, სამეფოში ჩვენ რომ გვქონოდა სათანადო რაოდენობის ჯარი, აღა ვერ გაბედავდა ერეკლეზე საომრად წამოსვლას...

აი სულ ახლახანს მივიღე წერილი უფლისწულ დავითისგან, რომელიც მსახურობს ჩვენს ჯარში გენერალ-მაიორის ჩინით და მეთაურობს პრეობრაჟენსკის პოლკს, ის იწერება რომ მამა-მისმა დაუბრუნა ჩვენს გვარს გორის მახლობლად საგვარეულო მამული...

სხვათა შორის რუსულ ჯარში, ყაბარდოს პოლკის შეფად მსახურობს მისი ძმა, გენერალ-ლეიტენანტი მირიან ბატონიშვილიც.

-რას იტყვით გიორგი ირაკლიჩზე და მის შვილებზე -დავითზე და მირიანზე ?

-გიორგი ირაკლიჩი აღიზარდა სამეფო კარზე. ის ერეკლეს შვილია პირველი ქორწინებისგან.

60-იანი წლებიდან მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში. 1765 წელს მხარი არ დაუჭირა ერეკლე || წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეთა მეცარდ დასჯას, რაც მამა-შვილს შორის უთანხმოების საფუძველი გახდა. ამ უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამწვავებდა გიორგი XII დედინაცვალი დარეჯან დედოფალი, რომელიც გიორგი XII საკუთარ შვილებს უპირის-პირებდა. როცა ერეკლე || გარდაცვალების შემდეგ, 1798 წლის იანვარში, გიორგი XII გამეფდა, იგი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, მისი მკურნალი ექიმი ერთხანს იყო ყველასთვის ცნობილი დოქტორი იაკობ რეინეგსი (1744-1793)...

გიორგი XII ზრუნავს სპარსელთა 1795 წლის შემოსევის შე-დეგად დანგრეული დედაქალაქის აღდგენას. მისი ბრძანებით ტარდება ხალხის აღნერა და შემოილეს ფულადი გადასახადი სა-მეფო სასახლის ასაგებად, მაგრამ შეკრებილი თანხა ეკლესიების კეთილმოწყობაზე იხარჯება. დაიწყეს სტამბის აღდგენა. გიორგი XII ცდილობს ერეკლეს დროინდელი მორიგე ჯარის აღდგე-ნას, ებრძვის ქვეყანაში შემოჭრილ სპარსულ წეს-ჩვეულებებს, ცდილობს მონინააღმდეგე ბატონიშვილთა პარტიის დამორჩი-ლებას და შინაური მოლალატების ალაგმვას. თუ ჩვენ სწორ პო-ლიტიკას ვაწარმოებთ ქართლ-კახეთში, და შემდგომ მთლიანად საქართველოში, მასზე უკეთესი მოკავშირე ჩვენ არ გვეყოლება, ჩემო იმპერატორო..

საგარეო პოლიტიკაში გიორგი XII ჩვენთან ტრადიციული ურთიერთობის კურსს იცავს. იგი მოითხოვს 1783 წლის გეორგი-ევსკის ტრაქტატის შესრულებას და სამეფოში ჩვენი ჯარის შე-მოყვანას, რომლის დახმარებით ფიქრობს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სიძნელეებიდან თავის დაღწევას.

ასეთ ვითარებაში გიორგი XII თანახმაა შეიზღუდოს 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებანი, ოღონდ მისთვის და მისი შთამომავლებისათვის მეფობა შენარჩუნდეს...

-უფლისწულ დავითს რაც შეეხება, ის აღიზარდა თავისი პა-პის ერეკლე II კარზე ტფილისასა და თელავში. შეისწავლა ქარ-თული საერო და სასულიერო მწერლობა, სომხური, სპარსული, რუსული ენები, საბუნებისმეტყველო დარგები, სამხედრო ხე-ლოვნება.

საბრძოლო ნათლობა მიიღო 1790 წელს, ოსმალთა წინააღ-მდეგ შეტაკებებში. შემდგომ წლებში მისი მეთაურობით ქართ-ველების ჯარმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა დაღესტნელთა მარბიელ რაზმებზე.

სპარსელთა უკანასკნელი შემოსევის დროს, სარდლობდა ქართული ჯარის მარჯვენა ფლანგს, იცავდა ტფილისში შემო-სავლელ გზაჯვარედინს.

1796 წლის აპრილ-მაისში ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად სარდლობდა ლაშქრობას განჯაზე, 1798 წელს კი - ყარსზე, სადაც დავითმა დაამარცხა მაჰმად-ფაშა.

-უფლისწულ მირიანზე* რას იტყვით?

-უფლისწული შედიოდა იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ერეკლე II გამოაგზავნა ჩვენთან 1783 ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით, ჩვენს სამსახურში შევიდა. 1797 დასანყისში ებოძა ყაბარდოს პოლკის შეფობა. მსახურობს „კავკასიის ლინიაზე“ გენერალ გუდოვიჩთან... 31 წლისაა. აქვე მინდა დავძინო, რომ ურიგო არ იქნებოდა, რომ დაავალოთ სამხედრო კოლეგიის პრეზიდენტს, ნიკოლაი სალტიკოვს*, მოგაწოდონ რუსეთის არმიაში მომსახურე ქართველების რაოდენობის შესახებ, იმიტომ რომ ჩვენ სამომავლო გეგმებში საქართველოსა და კავკასიის საქმეებში, შესაძლებელი იქნება მათი სამხედრო გამოცდილებაც გამოგვადგეს.

-კეთილი, და თქვენ როგორ ფიქრობთ ბევრი იქნება ასეთი ელემენტი ჩვენში?

-თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოდან რუსეთში თავის დროზე მოხდა ქართველ მეფეთა ორი მიგრაცია თავიანთ ამალებითურთ -XVII საუკუნის II ნახევარში და XVIII საუკუნის I ნახევარში - ცოტანი ნამდვილად არ იქნებიან, ამ მიმართულებით რიცხოვნობას უკეთ მოგიმზადებთ სალტიკოვის უწყება, იმედია თქვენ გასცემთ სათანადო განკარგულებას სალტიკოვისადმი? 1724 წელს აქ როგორც მოგეხსენებათ ჩამოვიდა მეფე ვახტანგ VI 1200-კაციანი ამალით, რომელთა შორის იყო მამაჩემიც და დონაუროვის მამაც...

-აუცილებლად, - და პავლემ ააცკრიალა ზარი. კაბინეტში შემოვიდა კუტაისოვი.

-გამოიძახეთ სამხედრო კოლეგიის პრეზიდენტი, გენერალ-ფელდმარშალი ნიკოლაი სალტიკოვი!

*მირიანი, უფლისწული (1767-1834), გენერალ-ლეიტენანტი (1798)

*სალტიკოვი ნიკოლოზი (1736-1816), გენერალ-ფელდმარშალი (1796)

კუტაისოვი ასევე უსიტყვოდ გავიდა, როგორც შემოვიდა.

-სერგეი ლაზარევიჩ, თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩვენ სწორ ნაბიჯს ვდგამით ქართლ-კახეთთან მიმართებაში?

-მე ასე გეტყვით, ჩემო იმპერატორო, რომ ეს ნაბიჯი გადა-სადგმელი იყო „გუშინ“, ანუ იმის თქმა მინდა რომ, როცა 1783 წელს ჩვენ მოვაწერეთ ხელი სამოკავშირეო ტრაქტატზე ქართველებთან, 2 ბატალიონით კი არ უნდა დავხმაროდით ქართველებს, არამედ ორი პოლკი მაინც რომ ჩამდგარიყო საქართველოში, 1795 წლის ტრაგედია არ მოხდებოდა... მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ხომ იცით როგორ ამბობენ, - „ჩეუბის შემდეგ მუშტებს არ იქნევენ“.

-მაშინ დედიჩემმა და მისმა გარემოცვამ ჯეროვნად ვერ გაანალიზა კავკასიის საკითხი, არადა სტრატეგიულად ხელსაყრელ რეგიონში მდებარეობს საქართველო, სიახლოეს სპარსეთის ყურესთან და სპარსეთის სახანოებთან, გასასვლელი ინდოეთის ოკეანამდე, ეს ყველაფერი გასათვალისწინებელი უნდა ყოფილიყო დედიჩემისთვის. რას ვიზამთ, უნდა დროულად გამოვასწოროთ შეცდომები, უნდა გავამაგროთ ჩვენი ახლო აღმოსავლეთი, მომავალი თაობები მადლობას გვეტყვიან.

-აი ეს იყო, რაზეც მე მსურდა თქვენთან საუბარი... მალე მივიღებთ გადაწყვეტილებას თქვენი სამშობლოს შესახებ, დიდად მადლობთ სერგეი ლაზარევიჩ, ბარემ აქ ხართ და მინდა სიამოვნებით გაუწყოთ რომ თქვენ გვარს უდიდესი დამსახურებები-სათვის რუსეთის იმპერიის წინაშე ებოდა სათანადო ღერბი!

-უღრმესი მადლობა ჩემო იმპერატორო ჩემი გვარის დაფასებისთვის, -და ემთხვია პავლეს ხელზე საკოცნელად... და კიდევ ერთი რამ, ჩემო იმპერატორო, ურიგო არ იქნებოდა გადაგეხედათ 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ჩვენი დამხმარე ჯარის გაგზავნის მასალებს, მაშინ, 1769 წელს ჩვენ გადავისროლეთ იმერეთში გენერალ ტოტლებენის რაზმი, სულ 3 ასეული და 3 ქვემები, რომელიც შედგებოდა 411 კაცისგან. იმ მასალებში ბევრი საინტერესო იქნება. საქართველოში გამოსაგზავნი ჯარის ოფიცერთა შტატი სპეციალურად ირჩეოდა,

როგორც ვიცი, ხოლო უპირატესობას ჩვენს სამსახურში მყოფ ქართული წარმოშობის ოფიცირებს ენჭებოდათ.

საქართველოში გამოსაგზავნი საგანგებო რწმუნებულიც კი წარმოშობით ქართველი შეირჩა - თავადი ანტონ მიხეილის-ძე ტარხან-მოურავოვი.

დედითქვენი სოლომონ II სადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ხაზს უსვამდა, რომ სოლომონის კარზე ქართველის დანიშვნა მისდამი და სხვა ქართველი მფლობელებისადმი ჩვენი კეთილგანწყობილების თავდებიათ. ამის მაგალითის საჩვენებლად, გამოგზავნილი ჯარის ოფიცირებს, ცხადია, სამხედრო ტექნიკური ხასიათის ინსტრუკტაჟის გაწევაც უნდა შეძლებოდათ, უამისოდ ასეთი პატარა ჯარის გამოგზავნას აზრი ეკარგებოდა (დედითქვენი შემთხვევით როდი წერდა სოლომონ II, რომ იგზავნებოდა საექსპედიციო ჯარი), თუ ახლაც ამ გზით ვივლით, ბევრს მოვიგებთ, - მიუგო ლაშკაროვმა.

-დიდი მადლობა სერგეი ლაზარევიჩ, ასეთი რჩევებისათვის, ჩვენ მოვითათბირებთ და გადავწყვიტავთ აუდიენც-კოლეგიაზე ისე, როგორც საქმისათვის იქნება უკეთესი, ისე მართალს ბრძანებთ, ეს რომ მომხდარიყო 1783 წელს, თხუთმეტ წელს მოვიგებდით...

როცა გადიოდა იმპერატორის კაბინეტიდან, მისაღებში დაინახა მიხეილ გერასიმოვიჩი დონაუროვი და ივანე პავლოვიჩი კუტაისოვი, რომლებიც რაღაცაზე საუბრობდნენ სიცილ-კისკისით და როცა დაინახეს სერგეი ლაშკაროვი შეწყვიტეს საუბარი.

-რა გახალისებთ ასე, ჩვენო ბედკრულო საქართველოს შიოლო, საქართველო გაჭირვებაშია და თქვენ კი არც კი იცით რაში დახარჯოთ უქმად დრო, - და მალევე გაეცალა იქაურობას...

ლაშკაროვი დაბრუნდა თავის სამსახურში და ღრმად ჩაუფიქრდა ყოველივეს, რაზეც ესაუბრებოდა მას იმპერატორი. როგორც ჩანს, მას უნდა ეტვირთა ეს ისტორიული მისია - ქართველ გვირგვინოსნებს ზურგზე მოკიდებული ძნელად სატარებელი საკუთარი სამშობლოს მძიმე ტვირთის განთავისუფლებაში.

მან, როგორც გამოცდილი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე სხვებზე უკეთ იცოდა, რომ ისტორიული ბედუჟულ-მართობისა და უამთა სიავის გამო მისი ტომის ხალხი უხსოვარი დროიდან მრავლად იყო და იბრძოდა სხვა ქვეყნების არმიებში, ამის ნათელი მაგალითი იყო მამლუქობა, ქართველები სპარსე-თისა და ოსმალეთის სამხედრო სარბიელზე და რა საკვირველია უდიდეს როსიის იმპერიაში. ძალიან კარგად იცოდა ლაშკაროვ-მა, რუსეთის არმიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმაისტერის, უფლისნულ ალექსანდრე არჩილის ძის* ტრაგიკული ბედის შე-სახებაც... რუსეთის ჯარში რომ მრავლად იყვნენ ქართველები, რა საკვირველია, ბევრ მათგანს გვარები ჰქონდათ გადაკეთებუ-ლი. ასეთი იყო რუსული სინამდვილე...

არასოდეს არ დაავიწყდება მას საუბარი დიდ ვაზირთან ოსმალეთან ბოლო ომის დროს, როცა თავად პოტიომეკინის, ხოლო შემდგომ რეპნინის* დავალებით რამოდენიმე ჯერ ზავის დადების მიზნით შეხვდა დიდ ვაზირს ქოჯა იუსუფ ფაშას* მის რეზიდენციაში, შუმლაში და იცოდა რა, რომ ლაშკაროვი ეთნი-კური ქართველი იყო, მიმართა მას ქართულ ენაზე. აი რა უთხრა მას დიდვაზირმა:

-მე ძალიან კარგად ვიცი, ვინ ხართ თქვენ, თქვენ ქართველი ხართ, ისევე როგორც მე, ჩვენ ორივენი არ ვემსახურებით ჩვენს სამშობლოს და ძალიან ნუ გამოიდებთ თავს რუსების სამსახურ-ში, მაღლობას მაინც არ გეტყვიან, არც მე მეტყვიან... კარგად გამოგიყენებენ და შემდეგ გადაგაგდებენ ისტორიის სანაგვე-ზე, იფიქრეთ იმაზე, თუ რას იტყვის თქვენზე შთამომავლობა, ჩემზეც რა საკვირველია... ესაა მთავარი... მე თქვენზე უფროსი

*ალექსანდრე ბაგრატიონი (იმერეტინსკი), უფლისნული (1674-1711),
*ნიკოლოზ რეპნინი (1734-1801), რუსი დიპლომატი, გენერალ-ფელდცეიხმარშა-ლი (1796)

*ქოჯა იუსუფ ფაშა (1730-1800), ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მოღ-ვაწე. ორჯერ (1786-1789 წწ. და 1791-1792 წწ.) ეკავა დიდი ვეზირის თანამ-დებობა

ვარ და გამოცდილებაც უფრო მეტი მაქვს, დამიჯერეთ, მე ახლა სიმართლეს გეუბნებით როგორც ქართველი ქართველს და არა როგორც მოწინააღმდეგე მოწინააღმდეგეს...

... ნუთუ მართლა სრულდება მამამისის და იმ მრავალი ქართველის სანუკვარი ოცნება? მათ უკვე ქართველებსაც კი აღარ დაარქმევ... აბა რა ქართველია კუტაისოვი, დონაუროვმა კიდევ რაღაცა იცის, მარა ვის უნდა ელაპარაკოს აქ თავის ენაზე, რაც იცის ისიც ავინყდება უკვე, მათ მშობლიური ენა ავინყდებათ უკვე, ჩემგან განსხვავებით... მამაჩემმა იზრუნა იმაზე რომ მე მცოდნოდა მშობლიური ენა... კუტაისოვზე ვინ იზრუნებდა, როგორც ნივთი რომ უფეშქაშეს ტახტის მემკვიდრეს?

... გვიანი შუალამე იყო, როცა კარებზე კაკუნი მოესმა.

-რომელი ხარ მანდ?

-ჩევენ ვართ -კუტაისოვი და დონაუროვი...

-რამ მოგიყვანათ ამ შუალამეს ჩემთან, ხომ მშვიდობაა, მე-გობრებო?

-ვერ მოვისვენეთ... თქვენი სიტყვების შემდეგ...

-ა! მესმის..სინდისმა შეგაწუხათ არა?

-შეიძლება ასეც იყოს, ჩემო ბატონო, მაგრამ ვერ ვისვენებთ, რამე გაქვთ დასალევი?

-არა, ხომ იცით რომ არ ვსვამ საერთოდ, მაგრამ მაქვს ერთი ბოთლი კახური ღვინო, ბატონიშვილმა დავითმა მომართვა საჩუქრად, კარგი რამეა, ჩემმა მზემ... გასინჯეთ, ჩვენი სამშობლოდანაა...

-სამშობლოდან... სადაა ჩვენი სამშობლო?... საქართველო ბუნდოვნად მახსოვეს... - ჩაილაპარაკა ნალვლიანად კუტაისოვმა...

- მიხაილ ივანოვიჩი და თქვენ სერგეი ლაზარევიჩ, დაიბადეთ აქ, რუსეთში და თქვენმა მშობლებმა იზრუნეს იმაზე რომ შეგასწავლეს ქართული, მე კი დავიბადე საქართველოში, თქვენგან განსხვავებით, მაგრამ ათი წლის ბავშვი ვიყავი, როცა ტოტლებენის ჯარისკაცებმა გაანთავისუფლეს ქუთაისი თურქთა გარნიზონის-გან... ქუთაისის ციხის შტურმისას დაიღუპა მამაჩემი, მე კიდევ რუსმა ჯარისკაცებმა გამათავისუფლეს და აქ ჩამომიყვანეს და

უფეშქაშეს უფლისწულ პავლეს, როგორც ნივთი... და პავლემ თავის სახელზე ჩამნერა და გავხდი ივან პავლოვიჩი კუტაისოვი..მე ვინ მასწავლიდა ქართულს, რუსული ვისწავლე და ის გახდა ჩემთვის მშობლიური... მას შემდეგ უკვე ოცდარვა წელია აქ ვცხოვრობ... რუსეთი იქცა ჩემთვის სამშობლოდ...

-კარგი, მე და დონაუროვი აქ დავიბადეთ და გავიზარდეთ და ოჯახიდან შევითვისეთ მშობლიური ენა, მარა შენ იქ დაბადებულსა და გაზრდილს, ნუთუ აზრადაც არ გქონია რომ გაქცეულიყავი და გეპოვნა შენი სოფელი, დედა, ძმები, დები?

-ძალზე პატარა ვიყავი, სერგეი ლაზარევიჩ, მომიტევეთ რა, მერე აქ რომ მოვხდი, შევეგუე ჩემს ბედს, ქართული სიტყვები რაც კი ვიცოდი ისიც დამავიწყდა, მარტო „დედა“ და „მამა“, მახსოვს დღემდე - და ცრემლები ლაპა-ლუპით წამოუვიდა. თვალებიდან, - ასეა ეს ცხოვრება... გვათამაშებს როგორც უნდა... პო ძალიან მაგარი ლვინოა, მომენონა... სხვათა შორის იმპერატორმა გამახსენა მე, რომ ქართველი ხარო, როგორც იაშვილიონ და მალე მოგინევსო ქართული ენის სწავლებაო, და რა ჰქონდა მხედველობაში, არ იცით?

-მეც ზუსტად ამ საკითხთან ვიყავი დაბარებული მასთან. ჩვენ დიდხანს ვილაპარაკეთ კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე. იმპერატორს სურს ალადგინოს 1783 წლის ტრაქტატი და ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას დადებითად საქართველოს საკითხი, მითუმეტეს რომ ახლა არის ძალზე ხელსაყრელი მომენტი... უფლისწულებმა დაჭამეს ერთმანეთი, ყველას მეფობა სურს, ერეკლესნაირი მეფე საქართველოს ანი აღარ ეყოლება, გიორგი ვერ უმკლავდება ვერც შინაურ და ვერც გარეულ მტრებს, დედოფალ დარეჯანს უნდოდა ერთ ერთი თავისი შვილის გამეფება, იმიტომ რომ გიორგი ხომ მისი გერია და უნდა მთელი სამეფო სახლის „აღლუმის“, მთავარსარდლობა...

-ძალაუფლებიანი ქალბატონი ყოფილა, - ჩაილაპარაკა დონაუროვმა.

-სავსებით მართალი ბრძანდებით ჩემო ბატონო, ძალიან უყვარს ძალაუფლება... მე ვფიქრობ რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ირაკლი თეიმურაზოვიჩი ვეღარ უმკლავდებოდა მის ასეთ ხასიათს და ამიტომაც ხელი ჰქონდა ჩაქნეული. რაც შეეხება გიორგი ირაკლიჩს, ბატონიშვილმა დავითმა მითხრა ამას წინათ რომ მამამისი ძალიან ავადაა, ყველაზე დიდი იცოცხლოს ერთი ან ორი წელი, არადა არაა ისეთ წლოვანებაში, სულ რაღაც 52 წლის კაცია, ჩემზე უმცროსია.. იმპერატორი მზადაა მიიღოს ამ ეტაპზე თავის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფო, პერსპექტივაში კი დანარჩენი საქართველოც, მხედველობაში აქვს დასავლეთი საქართველოც, რითაც ასრულდება ქართველთა საუკუნოვანი ოცნება -ერთიანი საქართველო ძლიერი მფარველის ქვეშ!

-ჩვენ ალბათ ვერ მოვესწრებით, მარა ჩვენი შთამომავლები იცხოვრებენ საქართველოში, მე ამისი ღრმა რწმენა მაქვს, - დასძინა სინანულით კუტაისოვმა,

-რატომ, კუტაისოვ, დონაუროვ, სავსებით შესაძლებელია, აღვასრულოდ ჩვენი მშობლების ოცნება, იმიტომ რომ მეფე გიორგიმ დაუბრუნა ჩვენს გვარს გორის მახლობლად საგვარეულო მამული, მე იმედს ვიტოვებ რომ ოდესლაც ჩავალ ჩემი წინაპრების მიწაზე და არც თქვენ არ უნდა დაკარგოთ ეს იმედი.

-ზავედით აბა ეხლა ჩვენ... დავიღალეთ ამდენი ემოციებით... კახური ღვინო მოგვეწონა, უთხარით ბატონიშვილ დავითს, ერთი ჩვენთვისაც ხომ არა აქვს, კარგი რამეა... კარგი გემო აქვს, თავის ტკივილმაც გაგვიარა, არა მიხაილ ივანოვიჩ?

-კი მასეა, - მეამა ძალიან, კარგი ღვინოა.

-ხო, მართლა სერგეი ლაზარევიჩ, კვირას გეპატიშებით თქვენ და ბატონიშვილ დავითს, ჩემთან, მობრძანდით, ვიმუსაიფოთ.

-ვეცდები, ხომ იცით ჩემთვის შაბათი და კვირა არ არსებობს, მითუმეტეს ახლა, როცა არ იცი, როდის დავჭირდები იმპერატორს...

განშორებისას ეს სამი წარმოშობით ქართველი ადამიანი გადაეხვია ერთმანეთს და ვერც ერთმა ვერ შეიკავა ცრემლი თვალზე, სულ მალე მათი მამების ოცნება ხორციელდებოდა.

... იმ ღამეს ვერავინ ვერ დაიძინა, ვერც ლაშკაროვმა, ვერც კუთაისოვმა და ვერც დონაუროვმა. ძალზე ესიამოვნათ ერთმანეთს ასეთი პირდაპირი და გულიანი საუბარი თავიანთ სამშობლოზე და მის მომავალზე, ამ რუსეთის სახელმწიფო სამსახურის „კიბეზე“ დაწინაურებულ სამ ქართველს, ჩვენი ბედკრული საქართველოს შვილებს.

„საქართველოს საქმეები“

1799 წლის აპრილის ბოლო იდგა... ნამდვილი გაზაფხულის ამინდი იყო პეტერბურგში. ლაშკაროვი თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა და შემოსულ კორესპონდენციას ეცნობოდა, როცა კარებზე დაკაკუნეს.

-მობრძანდით.

კარის ზღრუბლზე იდგა კუტაისოვის მოახლე ვასილი.

-რა არის ვასილი, ხომ მშვიდობა?

- გრაფმა მთხოვა ეს პაკეტი თქვენთვის გადმომეცა სასწრაფოდ.

-კეთილი, ვასილი მადლობა, თავისუფალი ხარ.

როგორც კი ვასილიმ გაიხურა კარი, ლაშკაროვი მიუჯდა მაგიდას და სწრაფად გახსნა პაკეტი. წერილში ეწერა შემდეგი:

„ლრმად პატივცემულო სერგეი ლაზარევიჩ! გთხოვთ ამ სა-ლამოს მობრძანდეთ მადამ შევალიეს აპარტამენტებში, და იქ გეტყვით დანარჩენს, დონაუროვიც ჩემთან იქნება, ცოტა წავისოთ. პატივისცემით, თქვენი ივანე კუტაისოვი“

ლაშკაროვი საგონებელში ჩავარდა. წეტავი რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ წერილში ვერ დაწერა... ოხ, ეგეც მაგარი ვინმეა რა, საღამომდე რა იცხოვრებს. ალბათ ძალზე კონფიდენციალური ინფორმაციაა და არ უნდა რომ ვინმემ სხვამ გაიგოს... მარა რა უნდა იყოს ასეთი? რაღა გაეწყობა, საღამოც მალე მოვა, მანამდე კიდევ დიდი დროა და წავიმუშავებ..

მუშაობაში დრომ თვალის დახამხამებაში უცებ გაირბინა.

ქუტაისოვი ცხოვრობდა თავის საყვარელთან, მადამ შევალიესთან*, რომელიც თავის ფრაგ დასთან ერთად იმყოფებოდა თეატრში და რომლის ბენეფისი უნდა შემდგარიყო 30 აპრილს და ამიტომ თავისუფლად შეეძლოთ სჯა-ბაასი ნებისმიერ თემაზე.

*მადამ შევალიე - ფრანგი მომლერალი, კუთაისოვის საყვარელი, მოგვიანებით კი სავარაუდოდ იმპერატორ პავლე I საყვარელი.

... და აი კუთაისოვის საყვარლის აპარტამენტებიც გამოჩნდა... კაცმა უნდა თქვას, ბედი მაქვსო, კარგს ჭამს, კარგს სვამს, ქალებს იცვლის ხელთათმანებივით, მეტი რა შერჩება ამ ქვეყნიდან...

-მოგესალმებით სერგეი ლაზარევიჩ! - მიესალმა კიბეებზე მდგომა კუტაისოვმა, - მე და მიხაილ ივანოვიჩი გელოდებით უკვე რა ხანია.

-ხომ იცით სახელმწიფო საქმეები მაქვს თავზე საყრელი და მომიტევეთ თუ ცოტა შევყოვნდი, - თავი გაიმართლა ლაშკარიოვმა.

-ცოტა წავიხემსოთ, ასე არ ჯობია მეგობრებო? - მიუგო დონაუროვმა

-ისე მე წახემსებას მეორე პლანზე გადავიტანდი, ივან პავლოვიჩ, და დავიწყებდი იქიდან, რის გამოც ჩვენ აქ შევიყარით.

-როგორც ინქებეთ. მოკლედ იმპერატორი ეს დღეები გენერალ-ფელდმარშალ ნიკოლაი სალტიკოვს, ამ სამოცი წლის კაცს არბენინებს თავისთან ქალალდებით. დღეს დილას შედგა აუდიენც-კოლეგია იმპერატორთან და იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველოში მინისტრ-რეზიდენტად დაინიშნოს სასტატო მრჩეველი პეტრე კოვალენსკი* და გაიგზავნოს ეგერთა ერთი პოლკი, გენერალ-მაიორ ივანე ლაზარევის* მეთაურობით. გადაწყვეტილება საბოლოოა, ასე განაცხადა იმპერატორმა.. - სინანულით მიუგო კუტაისოვმა.

-მეც ვიყავი ამ აუდიენციაზე, სერგეი ლაზარევიჩ, როგორც სამეფო კარის მინისტრთა კაბინეთის მმართველი,-დაუმატა ივანე დონაუროვმა.

-მერე რაო სალტიკოვმა? - ირონიულად იკითხა ლაშკაროვმა

-სალტიკოვი უმტკიცებდა იმპერატორს, რომ საქმისთვის კარგი იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა ტოტლებენის პერიოდი,

*კოვალენსკი პეტრე (1766-1827), რუსეთის ელჩი და მინისტრი ქართლ-კახეთის სამეფოში, შემდეგ „საქართველოს მმართველი“.

*ლაზარევი ივანე (1763-1803), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1798), მოკლა დედოფალმა მარიამა (1768-1850),

და მინისტრ-რეზიდენტად დანიშნულიყო რუსეთში დაბადებული და აღზრდილი ქართველი, თუნდაც ლაშკაროვი, რომელიც საკმაოდ გამოცდილი დიპლომატია და ბრწყინვალედ გაართმევს თავსო და ეგერთა პოლკის მეთაურად დაინიშნოსო ანალოგიურად ჩვენს ჯარში მომსახურე ქართული წარმოშობის გენერალ-მაიორი პეტრე ბაგრატიონი*, რომელიც საკმაოდ სახელმოხვეჭილი 35 წლის გენერალია.

-მაგრამ იმპერატორი ვითომ ვირზე შეჯდაო. კოვალენსკი დაინიშნებაო და მორჩიაო, - მიუგო დონაუროვმა.

-იყო კიდევ სხვა აზრებიც? - იკითხა ლაშკაროვმა.

-გამოითქვა მოსაზრება, რომ სამეფო ტახტზე დაისვასო პეტრე ბაგრატიონი, მარა იმპერატორი მთლად გადაირია ამაზე, რას ქვიაო, ბაგრატიონი დავსვათო, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოდ იმისთვისო, რომ სამეფო შეუერთოდ იმპერიასო გუბერნიის სახითო.

Empire russe vient d'effectuer son expansion vis-à-vis de la Pologne, et maintenant il veut faire de même vis-à-vis du royaume Kartli-Kakhétie?*

- გაიკვირვა ლაშკაროვმა.

- სალტიკოვმა უთხრა, თუ თქვენ გადაგინდეთ ეს ორი კანდიდატურაო, მაშინ ჩვენ აქ რისთვის ვართო ამ აუდიენციაზეო? წესიაო ასეთიო, უპასუხა იმპერატორმა.

- დასანანია რომ ასე მოხდა ყველაფერი. რას გააკეთებენ იქ კოვალენსკი და ლაზარევი? არც ერთმა და არც მეორემ არ იციან რეგიონი, არასოდეს იქ არ ყოფილან, ქართული ენა მაგათმა არ იციან, ქვეყნის წეს-ჩვეულებები არ იციან. ძაან გაუჭირდებათ იქ მუშაობა. შეიძლება საერთოდ გააფუჭონ იქ საქმე, - დასძინა ლაშკაროვმა.

- კი მაგრამ, საიდან მოიყვანეს ეს კოვალენსკი? - იკითხა დონაუროვმა

*ბაგრატიონი პეტრე (1765-1812), ინფანტერიის გენერალი

* (ფრ.) რუსეთის იმპერიამ ახლახან განახორციელა ექსპანსია პოლონეთან მიმართებაში, ახლა კი იგივე უნდა გააკეთოს ქართლ-კახეთის სამეფოსთან მიმართებაში?

-რუსეთის რწმუნებულად იყო მურთაზა ყული-ხანთან* 1796 წელს, აქვს პოლკოვნიკის ჩინი, მერე გადავიდა სამოქალაქო უწყებაში.

-ლაზარევი ლა საიდან მოათრიეს? - ვერ შეიკავა თავი დონაუროვმა.

-არაა სამართალი ქვეყანაზე, მე მთელი გულით და სულით მზად ვიყავი ჩვენი საქართველოსათვის დავხარჯულიყავი, არ მოველოდი ნიკოლაი სალტიკოვისგან ჩემს ასეთ დახასიათებას, მადლობის მეტი რა მეთქმის, მე ის წარმომედგინა ყოველთვის ხეპრე და გაუნათლებელ ადამიანად, მაგრამ შევცდი... არაუშავს, მე აუცილებლად ვიძიებ შურს, როგორ და რანაირად, ეს მე ვიცი... ეხლა მაპატიეთ წახემსების ხასიათზე ნამდვილად არ ვარ, მომიტევეთ მეგობრებო, ახლა თქვენის ნებართვით დაგტოვებთ.

...იმავე 1799 წლის 16 დეკემბერს ივანე დონაუროვმა (ამ გარუსებულმა ქართველმა), ქართლ-კახეთის სამეფოს საქმეებში რუსეთის უხეში ჩარევის გამო, პროტესტის ნიშნად დატოვა მინისტრთა კაბინეტის მმართველის თანამდებობა.

...ივანე კუტაისოვმა, მანაც თავისებური შური იძია, 1801 წლის 11 მარტის წინა ღამეს მან მიიღო წერილი-გაფრთხილება, მაგრამ არ გახსნა პაკეტი, რითაც დაღუპა იმპერატორი.

...ლაშვაროვმა კი შეასრულა დანაბირები, ოღონდ ცოტა მოგვიანებით, 1807 წელს როცა მოაწერა ოსმალეთის იმპერიასთან ხელი ისეთ შეთანხმებაზე, რომელიც ლახავდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ასეთები იყვნენ მაშინდელი გარუსებული ქართველები, მათ ძარღვებში ჩქეფდა ქართული სისხლი, მათ არ ჰქონდათ დაკარგული საქართველოსადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობა, რომელიც მათ მოსდევდათ მამა-პაპათაგან.

გიორგის გამეფების შემდეგ სამეფოში მდგომარეობა უფრო გართულდა, გახშირდა ჩრდილოკავკასიელების თავდასხმები, ამავე დროს მეფეს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა თავის

*მურთაზა ყული-ხანი (1755-1800), ალა მახმად ხანის ძმა.

ძმებთან, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ, რომ მძიმედ ავადმყოფი გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ მეფეები ისინი გამხდარიყვნენ და არა გიორგის უფროსი ვაჟი, უფლისწული დავითი. სამეფოში შექმნილი მძიმე მდგომარეობით ისარგებლა რუსეთის ხელისუფლებამ და 1799 წელს საქართველოში სამხედრო კონტიგენტი შემოიყვანა გენერალ ლაზარევის მეთაურობით, რომელსაც დაევალა ანექსიისთვის პირობების მომზადება, ოფიციალურად კი ეს სამხედრო კონტიგენტი რუსეთის ხელისუფლებამ გეორგიევსკის ტრქტატის პირობების შესასრულებლად შემოიყვანა (აღსანიშნავია, რომ რუსეთს აქამდე არაერთხელ ჰქონდა ტრაქტატი დარღვეული).

1799 წლის 26 აპრილს იმპერატორმა პავლე I მოაწერა ხელი უმაღლეს რესკრიპტს, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მინისტრ-რეზიდენტად დაინიშნა სასტატო მრჩეველი პეტრე კოვალენსკი, რომელიც საკმაოდ გამოცდილი დიპლომატი იყო, მსახურობდა ჯარში, ჰქონდა პოლკოვნიკის ჩინი. ერთხანს მსახურპბდა რეზიდენტად მურთუზა ყული ხანთანაც კი.

იმავე წლის მაისში კოვალენსკი დაიძრა პეტერბურგიდან „კავკასზე ლინიაზე“, და უკვე ივლისის ბოლოს იყო ჩრდილო კავკასიაში, სადგურ ნაურსკაიაში.

„კავკაზისკი ლინიის“ უფროსად იყო დანიშნული გენერალ-ლეიტენანტი კარლ კნორინგი, რომელსაც უნდა უზრუნველყო კოვალენსკის და მასთან ერთად საქართველოში გამოვზავნილი ეგერთა პოლკის გადაადგილება.

-მოგესალმებით კარლ ფიოდოროვიჩ „კავკასიის ხაზზე“! როგორ გიკითხოთ, ხომ ხართ მხნეთ?

-დმერთის წყალობით პიოტრ ივანოვიჩ, მადლობთ? ხომ არ დაგდალათ ამხელა გზამ?

-დიდი საქმეები გველის წინ, კარლ ფიოდოროვიჩ, დაღლის დრო არ გვაქვს... იმპერატორის რწმუნებით მე დავინიშნე მინისტრ-რეზიდენტად ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, ინებეთ რწმუნების სიგელი, - და გაუწოდა გენერალს პაკეტი.

-ვშიშობ ჩემო ბატონო, რომ შეფერხება მოგიწევთ რაღაცა ხანს, იმიტომ რომ გზა არის შესაკეთებელი და ჯარისთვის პრო-

ვიანტი ჯერ არ არის... თქვენ ჯერ მოისვენეთ, წამობრძანდით და გაუძღვა კოვალენსკის წინ.

არ მოელოდა კოვალენსკი ასეთ ვითარებას, მაგრამ რა ექ-ნა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და 23 ივლისს მისწერა წერილი იმპერატორს ამის შესახებ.

პეტრე კოვალენსკის გამოატანა იმპერატორმა პავლემ და-მამტკიცებელი სიგელი მეფე გიორგის სახელზე. სიგელი იყო დაწერილი 1799 წლის 18 აპრილს.

იმპერატორი პავლე იწერებოდა:

„მივიღე რა მადლობით თქვენი თხოვნა, ტრაქტატის მესა-მე მუხლის ძალით გამტკიცებთ დღეს თქვენ ქართლ-კახეთის მეფედ და ძესა თქვენსა დავითს თქვენდა მემკვიდრედ თქვენს შემდეგ“.

მე-17 ეგერთა პოლკი ლაზარევის ბრძანებისამებრ მზად იყო საქართველოში წამოსასვლელად, თან უნდა გამოჰყოლოდა თვით კოვალენსკიც, რომელსაც უნდა წამოედო პავლე იმპერა-ტორის მიერ გამოტანებული საჩუქრები.

დასასრულს, 1799 წლის 19 ოქტომბერს, კნორრინგმა კვლავ ინახულა ხსენებული პოლკი, კმაყოფილი დარჩა და მეორე დღი-სათვის ბრძანება მისცა გადმოელახა მდინარე თერგი და გზას შედგომოდა. მეორე დღეს, ბრძანებისამებრ, პოლკი თავისი ად-გილიდან დაიძრა, წამოვიდა ტფილისისაკენ.

კნორრინგმა მისცა დარიგება ლაზარევს, როგორ უნდა მო-იქცეს და, სხვათა შორის, აუწყა უმაღლესი ბრძანება:

„ლაზარევის პოლკი, მივა თუ არა ტფილისში, მეფე გიორგის იმისთანა პატივით უნდა შეეგებოს როგორც წესდებით მე, იმპე-რატორს, მეკუთვნის, იმავე წესით სასახლის მცველნი დაუყენოს. მეფის გვირგვინის კურთხევის დღეს პოლკი სააღლუმოდ განწყო-ბილ იქნას და ბატალიონებად დამწკრივებულ. როცა მეფე გიორ-გი შევა ეკლესიაში და გამოვა, ჯარმა შესაფერი პატივი მისცეს“.

დიდი წვალება გამოიარა რუსის ჯარმა, როცა კავკასიის მთებში შემოდგა ფეხი. ვიწრო აღმართ-დაღმართები, თოვლი და ყინვა, გაფუჭებული გზები, ზოგან სურსათის ნაკლებობა, - ყო-

ველივე ეს ერთად, აბრკოლებდა ჯარის მოძრაობას. ზარბაზნები და სხვა არტილერიის კუთვნილებანი ზოგან ხელდახელ და ზურგით გადმოჰქონდათ ჯარისკაცებს, რადგანაც სხვანაირად ვერ ხერხდებოდა. როგორც იყო, ჯარმა ყოველ დაბრკოლებას სძლია, გადმოიარა მთები და გადმოხედა არაგვის ხეობის დაბლობებს. აქ ჯარს მიეგება ბატონიშვილი ვახტანგი, მიაგება 80 ულელი ხარ-კამეჩი, გამომცხვარი პური და სხვა სურსათი, ტფილისამდე გზა-და-გზა სხვადასხვა ადგილას 50 საპალნის საზიდი ცხენი მოუმზადა.

მიუხედავად ამისა, ვახტანგმა რუსებზე გული მალევე აიცრუა და იმპერიის მონინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა. იგი ოპოზიციაში ედგა საკუთარ ნახევარ-ძმას, მეფე გიორგი XII-ს. თავის ძმებთან ერთად ცდილობდა მეფის ჩამოგდებას და იულონ ბატონიშვილის გამეფებას, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაწნია.

ამ სახით იარა ჯარმა 36 დღე და როგორც იყო მოუახლოვდა ტფილისსა. ტფილისი სათანადობ შეხვდა ჯარს და მიეგება მას.

ჯარს მოელოდნენ ტფილისში 26 ნოემბერს. მთელი ქალაქი ზემობდა რუსული ჯარის შემოსვლას.

მეფე გიორგიც მიეგება რუსებს თავისი ამალით, თან ახლდნენ:

მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, სხვა ბატონიშვილები, გამოჩენილი მოხელენი საერონი და სამღვდელოებისანი და მთელი დიდყაცობა ტფილისისა. ქალაქის ბანიანი სახლები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალით და კაცით, და მოუთმენლად ელოდებოდა ჯარს, ვითარცა ქვეყნის მხსნელს, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომავლინებელსა.

ბოლოს მოვიდა ჯარიც. მეფე გიორგი თვითონ წარმოუძღვანინდა და შემოიყვანა ტფილისში.

სიხარულის კიუინა ხალხისა, ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ერთს დიდს ყოფას და ამბავს წარმოადგენდა.

კოვალენსკიმ ამრიგად აუწყა კნორინგს რუსის ჯარის შემოსვლა ტფილისში:

„ჯარი, დასასრულ, მოვიდა ტფილის; მოსვლისას იგი წარმოადგენდა სასიამოვნო სანახავსა თავისის წყობითა და წეს-

რიგიანობითა. სამის ვერსტის მანძილზე დიდის ყოფით მოეგებნენ ჯარს, იმ წესით, როგორაც წინათვე დავაწყეთ მისმა უმაღლესობამ მეფე გიორგიმ და მე. მეფე მთელის თავისის წარჩინებულ საერო და სამღვდელო დიდკაცობით მიეგება ჯარს. სახლის ბანები სულ მთლად სავსე იყო თეთრ-ჩადრიან ქალებითა, კაცს ეგონებოდა მთელ ქალაქში მოფენილია კარვები ბანაკისაო. ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ამ დღესასწაულს აძლიერებდა, და სიხარულის კიუინა ერისა, მოძრაობა და თვით ცრემლნი, ნამეტნავად დედაკაცობისა, აგვირგვინებდა იმ ტკბილად საგრძნობელ სურათსა და უტყუარს ერთგულებას ჩვენდამი ერისას“.

მეფე გიორგიმ, გახარებულმა - რომ სასურველი აუსრულდა, ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ ჯარი კარგად დაებინავებინა და სურსათი საკმაო და რიგიანი ჰქონდა. შემოსვლის მეორეს დღესვე ჯარს გაუგზავნა 600 ლიტრა (150 ვედრა) მაჭარის ღვინო და 80 ცალი ხმელი თევზი, გარდა ამისა, რაც ულუფად განწესებული იყო. ოფიცრებს სადგომად თავისი სასახლე უთავაზა, ხოლო ოფიცრებმა არ ინდომეს მეფის შენუხება და დიდი მადლობა გადაუხადეს ამისთანა გულმტკივნეულ თავაზიანობისათვის“.

ასე შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშით და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდან დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისა და ნუგეშისა.

დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდან პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში, საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერ და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისი სისხლით რწყავდა ყოველს კუთხეს თავისი ქვეყნისა. ამ ღირსსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა.

შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა უღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ შვილებზე, გაქრა ცეცხლი, რომელიც წვავდა და ბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადლა დაგვრჩა.

დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებული, უშიშარი ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცათ მის თავდადებულ შვილებს, რომელიც უმწედ, უნუგეშოდ, ყველა-საგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნეობის სადიდებლად და თავისი ვინაობის გადასარჩენად.

დაიდო საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა და ეს დღე, 1799 წლის 26 ნოემბერი კვლავ სასოება გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავის მომავალს, დიდი რუსეთის მფარველობის იმედით და ნუგეშით ფრთაშესხმული.

„მარტიროზას ამპეპი“

... თავისი სახლის აივანზე იჯდნენ დიმიტრი და დავითი და ახლო მდებარე სახლების მეზობლები და გაიძვერა მარტიროზაც კი, ყველა ზეიმობდა, გიორგი ეზოში იყო და თავს დასტრიალებდა „კახელოს“

-ეჰ, ნეტავი ერეკლე მოსწრებულიყო ამ ამბავს... არ დასცალდა... -ჩაილაპარაკა თავისთვის დიმიტრიმ.

-რა თქვი? - მიუგო დავითმა

-იმას ვიძახი, დავით, რომა არ დასცალდა პატარა კახის, ვერ მოესწრო თავისი ერის გახარებას, ხომ გეუბნებოდი, რომ რუსეთი ერთმორწმუნე ერია და როსიის მეფე თავის სიტყვას შეასრულებსო, შენ კიდევ ყოყმანობდი, არ მიჯერებდი, ვინ იყო მართალი, მე თუ შენ?

-რუსეთი აქ იმიტომ შემოვიდა, რომ არ შემოსულიყო ოსმალო ან სპარსი.

-და მერე რა არის ამაში ცუდი, მე მირჩევნია ერთმორწმუნემ დამიცვას, ვიდრე ურჯულომ, დაგავიწყდა რას აკეთებდნენ, რამდენი შემოსევა ახსოვს ჩვენს დატანჯულ სამშობლოს...

-ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორ მოიქცევა მომავალში რუსეთის მეფე ჩვენთან მიმართებაში, ეხლა ასე იქცევა, ხვალ რას იზამს, არავინ იცის...

-ურჯულოებზე უარესნი ნაღდად არ იქნებიან, ერთმორწმუნე ქრისტიანები არიან რაც არ უნდა იყოს...

1798 წლის 5 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფის აუდიენც-დარბაზში მოხდა მინისტრ პეტრე კოვალენსკის მიერ გიორგი XII რწმუნების სიგელის გადაცემა და გიორგი XII მიერ ეკლესიაში დადებული ფიცი რუსეთის იმპერატორისთვის ერთგულებაზე. მეფემ მიიღო მოლოცვები აგრეთვე განჯის, შუშის და ახალციხის ფაშებისგან.

ფიცის დადების შემდეგ დადგა ჯერი ზარბაზნების გრუხუნისა, მთელი დღის მანძიზე ზარებს რეკავდნენ ტფილისის ეკლესიის ზარები, ხალხი ხარობდა, რაღაცა განსაკუთრებული ამბავი

ხდებოდა მათ თავებს, და არა მარტო, ამას გრძნობდა ტფილი-სის მთელი მოსახლეობაც, ერიც და ბერიც, ჰაერიც რაღაცა გან-საკუთრებული სუნით იყო გაუდენთილი, თითქოს მიანიშნებდა რომ რაღაც ახალს და უჩვეულოს უნდა შეეგუოს ტფილისი და ზოგადად ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობა.

ახლა გიორგი XII ზურგს უმაგრებდა რუსეთის იმპერიის ორი მოხელე - სამოქალაქო საქმეებში მინისტრი, სასტატო მრჩეველი პეტრე კოვალენსკი და სამხედრო საქმეებში, გენერალ-მაიორი ივანე ლაზარევი.

ასეთი დიდი სიხარულით იწურებოდა 1798 წელი, სულ რა-ღაც ორ წელიწადში შემოაღებდა კარს ახალი XIX საუკუნე, რო-გორი იქნებოდა ის საქართველოსთვის, ამაზე ზედმიწევნით ზუსტად არავინ ჯერ არ იცოდა....

შებინდებული იყო, როცა დიმიტრის ხმა მოესმა ეზოდან:

- დიმიტრი! შინა ხარ?
- რომელი ხარ მანდა?
- მე ვარ, დავით!
- გიორგი სადაა?

რუსის ჯარისკაცებთანაა მთელი დღეები გადაკარგული, რუსულ წერა-კითხვას ასწავლიან, ეს კი ქართულს ასწავლის.

-ჭაჭა თუ წაილო, მაგათ ლვინოზე უფრო ჭაჭა უყვართ.

-ალბათ წაილო, არ შეეშლება ეს საკითხი მას, ხომ იცი რა ყა-ჩალია.

-ამო, ნარდი გავაგოროთ, ამასობაში გიორგიც მოვა.

ამის თქმა იყო და, დიმიტრიმ დაინახა, როგორ ამოდიოდა დარეჯანის სასახლის გვერდით ამავალ ვიწრო აღმართზე გი-ორგი კალათით ხელში და გვერდით მოყვებოდა ... დავითის მო-ახლე გოგო ლელა.

-აბა ეხლა გვითხარი, რა დაიჭირე?

-მტკვრის ცოცხალია, ბატონო სულ ახლახანსაა დაჭერილი.

-ამ თევზზე არ გეუბნები, გიორგი, მე ორფეხა თევზზე გე-კითხები!

ბიჭი განითლდა, ენა წაერთვა, ვერაფერი ვერ მოიფიქრა და თქვა:

- ჩვენი მეზობლის გოგოა, მოახლეთ მუშაობს.
- და ვინაა მისი ბატონი, არ იცი? - მიუგო დავითმა
- არ ვიცი ბატონო, საიდან უნდა ვიცოდე.
- ხოდა ეხლა გეცოდინება, ეს გოგო ჩემი მოახლეა, კაი ბალ-ლია, ჩვენებურია, არ აწყენინო, თორემ საქმე ჩემთან გექნება.
- არა ბატონო, ცუდი არაფერი მიკადრებია.
- ხოდა ძალიან კარგი, კარგად თუ მოიქცევით, ერთი კარგა-დაც მოვილხინოთ, გამრავლდით და გაიხარეთ, ჩვენც მეტი რა გვინდა რა, არა ჩემო დიმიტრი?
- ასეა, ჩემო დავით, მოყვრები გავხდებით, ვანო პაპაც გაიხა-რებს ამ სიბერეში.

სანამ კაცები ნარდს თამაშობდნენ, გიორგიმ სუფრა გაშალა.

-გიორგი, შვილო, ერთი იმ ოხერს დაუძახე, ჩვენი მეზობელი მარტიროზა რო არი, მაინც მეზობელია და საჭირო კაცია, ხარა-ზების ოსტატია და შენი უფროსია, ლუკმა პურს მაგის მეშვეო-ბით შოულობ, მიდი მიდი, ახალ ამბებსაც გავიგებთ, მაგი რო და-ლევს, ენა ეხსნება და ბევრ ისეთ რამეს ამბობს, რაც არ შეიძლება.

გიორგი უმალვე გავარდა ეზოში და ათი წუთის შემდეგ მო-ვიდა.

-რაო? რა გითხრა?- იკითხა დიმიტრიმ.

-ხუთ წუთში მოვალო, - მიუგო გიორგიმ, და მართლაც დიდი დრო არ გასულა და კარების ნაცნობი ჭრიალი მოესმათ ეზოდან. ფანჯრიდან დაინახეს როგორ შემოვიდა ეზოში კოჭლი მარტი-როზა.

-ო! მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო! - მიესალ-მა დიმიტრი.

-ძალიან გამარჯობათ! თქვენი პურისა ჭამისა იყოს.

-მობრძანდით ბატონო მარტიროზა, აგერ დაბრძანდით, რას მიირთმევთ, ჭაჭას თუ ღვინოს? - თვალი ჩაუკრა დიმიტრიმ და-ვითს.

-ღვინო მირჩევნია, მიტო ჯან, ღვინოს მოვყავარ, ჭაჭას მივ-ყავარ... რა ვქნა დავბერდი, სულ ჯეელი ხომ არ ვიქნები ჰა, თქვენ-სავით, ეჱ რა ბიჭი ვიყყავი ჯეელობაში რო იცოდეთ... ერთხელ ბი-

ძაჩემმა აქოფამ, მეფისა ჩვენისა ჰერეკლესა სოვდაგარი იყო წამიყოლია სპარსეთში, ისპაანში ვახ რა გოგო ჩავიგორე კალთა-ში, ვახ მე, ისეთი გოგო იყო, ძუძუს თავები როგორც ყურძნის თავები ქონდა, ვახ რა მიქნა... არა მეც უქენი, მარა ჩვენ ერთად ვქენით რაც ვქენით, გიორგი შენა შვილო რამდენი წლისა ხარ?

-ოცისა შევსრულდი, - მიუგო ბიჭმა.

-ხოდა, აი მეცა ამდენისა ვიყავ მაშინ, იმისთანა გოგო იმის მერე არ შამხვედრია...

-კაი ბატონო, მოგონებანი გარდასულ დღეთა კარგია, მარა დავბრუნდეთ დღევანდელობაში ბატონო ჩემო, დაილოცეთ, და-ლოცეთ ეს ჭერი.

მარტიროზამ დაილოცა ქართულად და სომხურად და გა-დაჰკრა ღვინო. სამ ჭიქაში უკვე ქინძი მოწყდა და ენაც გაეხს-ნა...

-რაო მარტიროზა, რას იძახიან, რა ხდებაო სამეფო კარ-ზეო?- ჩააცივდა დიმიტრი.

-იძახიან რომა, რუსის ჯარს შენახვა უნდაო, მარა პრავიან-ტი და ფურაჟი არ ყოფნითო, მეფე კიდევა იძახის რომა ამას მე არ უნდა ვაკეთებდეო და გადაანანილა ყფლისწულებზე... იძა-ხიან კიდევ რომა, თუ ასე გაგრძელდებაო და რუსის ჯარს მეფე ვერ შეინახავსო, მაშინო ლაზარევიო წერილს მისწერსო როსიის მეფესო და შეიძლება პოლკი უკან გააპრუნონ... კიდევ დავლევ რა, ისეთი გემო აქ, როგორც იმ გოგოს ძუძუებს ქონდა, ვახ რა ძუძუები ქონდა, აუფ...

-ძუძუებს თავი გაანებე მარტიროზა, თორემ შენსა ვართუ-შას ყველაფერს ვეტყვით, - უთხრა დავითმა და გადაიხარხარა.

-კიდევ რა ხდებაო? - არ ეშვებოდა დიმიტრი

-რა და, ბატონიშვილი ალექსანდრე გიორგის მოწინააღმდე-გეთა ბანაკში გადაბარგდაო და აჯანყებას ანყობსო, ბაბა-ხან-თან გაიქცა სპარსეთშიო, კიდევა ღენერალ ლაზარევს უთქვამს გიორგისთვის რომა თუ არ მოუვლით პოლკსაო, მაშინ მას და-კარგავთო...

-ეჭ, მოდით ჩემო კეთილო მეგობრებო, ერთი კარგი ლექსი უნდა გითხრათ, ჩემი არაა, ჩვენი საათ ნავას* დაწერილია, ერეკ-ლეს კარის მგოსანი იყო, აღას ჯარისკაცებმა მოკლეს ბოლო შე-მოსევის დროს, აფსუს რა ლექსებს წერდა...

შუალამის ვარსკვლავით ცაში ხარ,
ლალის ვარდო, ყანაში ხარ, მკაში ხარ!
გაზაფხულის იასავით მთაში ხარ,
სანთური ხარ, ქამანჩა ხარ, ტაში ხარ,
ზღვის პირველი ჯეირანი, რაში ხარ!

განა შენა არ გყოლია მოძღვარი?
რაზედ მოჰკალ ჩემისთანა საპყარი,
წამლისათვის მითხრეს შენი ჯადვარი,
შენსა სახეს ვერ გადმოსწერს მხატვარი,
ინდოეთის ყალამის ნაყაში ხარ...

-მარტიროზა, როგორი ბიჭია ჩვენი გიორგი, ხომ არ გაბრა-ზებს?

-არა, კარგი ჯეელია, ეხლა მითხრა რომა რუსულის წერა-კითხვას ასწავლიან ჯარისკაცები, გამოადგება ცხოვრებაში, და მერე ვნახოთ, მე რუსეთში კაცი მყავს, იქნებ სამხედრო სამსა-ხურში ჩავაყენოთ, იქნებ დენერალი გახდეს, რა იცი... ცხოვრება თამაშია, მააშ... თქვენთან ჯდომა კარგია, მარა დავიღალე...

-გიორგი მიიყვანე პატივცემული მარტიროზა სახლამდე, თორემ ამ სიბერეში კიდევ გაუხვევს ვინმე ძუძუებიან ქალბა-ტონთან და მერე ვართუმა ცოდო არ იქნება? და მეგობრები ჩაბ-ჟირდნენ სიცილ-კისკისში.

როგორც კი დაბრუნდა გიორგი სახლში, მეგობრებმა და-იწყეს მიღებულ ამბებზე სჯა-ბაასი.

*საიათ ნავა (1712-1795) - საქართველოში მოღვაწე ეთნიკურად სომეხი პოეტი, აშული, მომღერალი.

-მე რას გეუბნებოდი, არ გახსოვს, შენ კიდევა, ქრისტიანი, ერთმორწმუნე ერია და ჩვენ დასაცავად მოდიან. დაიმახსოვრე, ისე როგორც ძველ დროს ოსმალოს და სპარსეთს, ასევეა ეხლაც -რუსეთს თავისი საქმე აქვს აქ გასაკეთებელი და იყენებს თავის ერთმორწმუნეობას.

-არა და შენი და ჩემი ლამაზი თვალებისთვის შემოიყვანა ერთი პოლკი? ძნელი დრო დაუდგა ქართლ-კახეთს.. შენ კიდევ არ მიჯერებდი... - თქვა დიმიტრიმ.

-ვინ წარმოიდგენდა, რომ მოვლენები ასე წარიმართებოდა, - მიუგო დავითმა და ჩაფიქრდა...

მეგობრების ვარაუდი სულ მალე გამართლდა. ყველაფერი ზუსტად ისე წარიმართა, როგორც ისინი იძახდნენ.

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა მეფე გიორგიმ რუსთის მთავრობის უფრო დასაინტერესებლად 1799 წლის 7 სექტემბრის გეორგიევსკის ტრაქტატის შესწორება ითხოვა - ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შედიოდა, იგი როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეებში რუსეთის მთავრობის მორჩილი იქნებოდა, ოღონდ გიორგისა და მის მემკვიდრეებს მეფის წოდება უნდა შეენარჩუნებინათ.

მაგრამ რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლამ (1799 წლის 26 ნოემბერი) ვერ გამოაკეთა ქართლ-კახეთის შერყეული სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში გიორგი XII დათანხმდა შეეზღუდათ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებანი. რუსეთის მთავრობა ხედავდა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას და ამ სამეფოს სრული გაუქმებისათვის ხელსაყრელ მომენტს ელოდა. ახალი საუკუნის კარიბჭესთან იდგა 1801 წელი.

ეპილოგი

1800 წლის 22 დეკემბერს იმპერატორმა პავლე I ხელი მოა-ნერა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების მანიფესტს, რითაც უხეშად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და მოახდინა დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის ანექსია. აღსანიშნავია რამდენად ცინიკურად მოქმედებდა რუსეთის იმპერატორი ამ მანიფესტის ხელმოწერისას, ამ დროს მძიმედ ავადმყოფი მეფე გიორგი XII ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რუსეთის ხელისუფლებამ არ ჩათვალა საჭიროდ ეცნობებინა გიორგისთვის ამ მანიფესტის არსებობის შესახებ. არაფერი იცოდნენ ქართლ-კახეთის საელჩოშიც, სანქტ-პეტერბურგში. რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დროებით გაესაიდუმლებინა ინფორმაცია ამ მანიფესტის არსებობის შესახებ და დაქცადა ხელსაყრელი მომენტისთვის მანიფესტის ოფიციალურად გამოსაქვეყნებლად.

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII, მის მემკვიდრედ და სამეფოს დროებით მმართველად გიორგის ვაჟი დავითი გამოცხადდა.

საქართველოში მყოფი რუსეთის წარმომადგენლები, არწმუნებდნენ დავითს, რომ იმპერატორი მას მალე დაამტკიცებდა მეფედ და გამოუგზავნიდა სამეფო რეგალიებს, როგორც ეს გეორგიევსკის ტრაქტატით იყო გათვალისწინებული, თუმცა ფარულად ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთვის და მისი სრული ანექსიისთვის ემზადებოდნენ, ისინი მანიფესტის ოფიციალურ გამოქვეყნებას ელოდნენ მოქმედების დასაწყებად.

1801 წლის 18 იანვარს სანქტ-პეტერბურგში და მოსკოვში გამოქვეყნდა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების (ანექსიის) შესახებ. მანიფესტი არ გამოცხადებულა ტფილისში, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჯერ აელო ხელისუფლება ტფილისში, ჩამოეცილებინა სამეფოს მართვისგან დავით XII, რომელიც სამეფოს გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ (28 დეკემბერი) მართავდა და მხოლოდ

ამის შემდეგ გამოცხადებინა ქართლ-კახეთის მოსახლეობისთვის სამეფოს ანექსიის შესახებ.

1801 წლის 24 მარტს უფლისწული დავითი ჩამოაშორეს ხელისუფლებას, მოგვიანებით კი დააკავეს და სანქტ-პეტერბურგში გადასახლეს. ქართლ-კახეთის დროებით მმართველად დავითის ნაცვლად გენერალი ლაზარევი გამოცხადდა.

დავითის ხელისუფლებიდან ჩამოაშორებამდე თორმეტი დღით ადრე შეთქმულებას ემსხვერპლა იმპერატორი პავლე I.

ქართლ-კახეთის სამეფოს საბოლოო ანექსიის საკითხის „მოგვარებას“ პავლეს მემკვიდრე იმპერატორი ალექსანდრე I შეუდგა. ახალმა იმპერატორმა გამოსცა ბრძანება „საქართველოს მართვის შესახებ“, სადაც ჩამოაყალიბა იმპერიის მთავარი მიზნები საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ ეს მიზნები იყო: რუსეთის თვითმშეყრობლობის განმტკიცება საქართველოში, ასევე საქართველოს ბუნებრივი წიაღისეულის ათვისება, გადასახადების შეგროვება, მართლწესრიგის დაცვა და სამხრეთ კავკასიის სხვა სამეფოების და სამთავროების დაპყრობა.

ამავდროულად ალექსანდრე I გადაწყვიტა გაეთამაშებინა პოლიტიკური ფარსი და ქართლ-კახეთის ანექსიის გასამართლებლად შექმნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა შეეძლო თუ არა სამეფოს დამოუკიდებლად არსებობა, რა თქმა უნდა კომისიამ ისეთი გადაწყვეტილება გამოიტანა, როგორიც იმპერიისთვის იყო ხელსაყრელი, დაასკვნა რომ ქართლ-კახეთს აღარ შეეძლო დამოუკიდებლად არსებობა და აუცილებელი იყო მისი იმპერიის შემადგენლობაში შეყვანა.

1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრე I გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის (ანექსიის) შესახებ, რითაც მან გამეორა მისი წინამორბედის მსგავსი მანიფესტი.

ქართლ-კახეთის საელჩომ გამოცხადა პროტესტი და გადასცა საპროტესტო ნოტა რუსეთის ხელისუფლებას, ანექსია გააპროტესტეს ასევე დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია.

ავტორისაგან

ნოველაში ნახსენები გიორგი ივანეს-ძე შენგელიძე (1777-1817 წ.შ.) რეალური პიროვნებაა. ხსენებული ამბების შემდეგ ის შევიდა რუსულ სამხედრო სამსახურში, იპოვა თავისი დაკარგული ბიძა, დავით იოსების-ძე შენგელიძევი (შენგელიძე), (1757-1799 წ.შ.) რომელიც მსახურობდა ვიატკის მუშკეტერთა პოლკში და ახლდა ა. სუვოროვის ჯარებს შვეიცარიის ლაშქრობაში, გრენადერთა ბატალიონის მეთაურად და დაუდო სათავე შენგელიძეთა სამხედრო დინასტიას რუსულ ჯარში.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულია აზნაურ ეგორ (გიორგი) ივანეს-ძე შენგელიძევის (შენგელიძის) ნამსახურების ნუსხა, რომლითაც ირკვევა, რომ ის წარმოშობით საქართველოდან იყო და მსახურობდა სმოლენსკის ქვეითთა პოლკში. მონაწილეობდა 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში მაიორის ჩინით და განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოვდა ოქროს იარაღით „მამაცობისათვის“. 1817 წელს მსახურობდა პოლკოვნიკის ჩინით სმოლენსკის ქვეითთა პოლკში.

მისი შვილი - ვლადიმერი (გ. 1869), მსახურობდა სასაზღვრო დაცვაში კაპიტნის ჩინით.

მისი შვილიშვილი - ვსევოლოდი (1853-1909), მსახურობდა პოლკოვნიკის ჩინით სასაზღვრო ჯარების ბრიგადის მეთაურის თანაშემწედ.

დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

„წმ.ანას“, IV (მამაცობისთვის-1877) და III ხარ.(1885);

„წმ.სტანისლავის“, III (მახვილებითა და ბაფთით-1879) და II ხარ.(1900);

„წმ.ვლადიმერის“, IV (ბაფთით XXV წლიანი უმწიკვლო სამსახურისთვის-1901).

მისი შვილთაშვილები-ვლადიმერი (პორუჩიკი) და ევგენი (პრაპორშჩიკი) მონაწილეობდნენ 1914-1918 წლების პირველ მსოფლიო ომში და დაიმსახურეს საბრძოლო ჯილდოები.

შენგელიძეების გვარის შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ საგარეჯოს რაიონში.



თეიმურაზ II (1700-1762),
კახეთის გამგებელი 1709-1715, მეფე 1733-1744,
ქართლის მეფე 1744-1762
ერეკლე II (1720-1798),
1744-1762 ნლებში კახეთის, 1762—1798 ნლებში
ქართლ-კახეთის მეფე,
გიორგი XII (1746-1800),
ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798—1800),
დავით ბატონიშვილი (1767-1819)
ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-1801 წწ.



სერგეი ლაშკაროვი (ლაშკარაშვილ-ბიბილური)
(1739-1814)

მიხეილ დანაუროვი (დონაური)
(1757-1817)

ივანე კუტაისოვი (კიკიანი)
(1759-1834)



ეკატერინე II
(1729-1796)


რუსეთის იმპერატრიცა 1762-1796 წწ.

პავლე I
(1754-1801)

რუსეთის იმპერატორი 1796-1801 წწ.

ალექსანდრე I
(1777-1825)

რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წწ.



ავტორის შესახებ



მამუკა ჯემალის-ძე გოგიშვილი

დაიბადა 1963 წლის 21 ნოემბერს ცნობილი სამხედრო იურისტის - ჯემალ გოგიშვილის ოჯახში.

1980 წელს დაამთავრა ქ.თბილის № 64 რუსული საშუალო სკოლა.

1985-1991 წწ. მსახურობდა ოფიცრად საპჭოთა არმიაში (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში).

1991 წელს მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარში - ეროვნულ გვარდიაში.

1992-2010 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 28 წელი იმსახურა შეიარაღებულ ძალებში. არის თავ-დაცვის ძალების ვეტერანი. ქართულ ჯარში სხვადასხვა დროს ეკავა რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობა.

2010 წლის მაისიდან მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სატრუქტურაში. აქვს ოთხი უმაღლესი განათლება.

1992 წელს დაამთავრა სულხან-საბა თრბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი (დაუსწრებლად);

1996 წელს - უშიშროების სამინისტროს აკადემიის ოპერატიული ფაკულტეტი;

1999 წელს - გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სახმელეთო ფაკულტეტი (სასაზღვრო ძალების სამეთაურო-საშტაბო სპეციალიზაციით (ექსტრენად)).

2002 წელს - უკრაინის თავდაცვის ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი.

2006 წლის 17 აპრილს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე „ქართველი ოფიცრები რუსეთის იმპერიის არმიაში XVIII-XIX სა.დასაწყისში“ პირველმა ქართველი ისტორიკოსებიდან ძირფესვიანად შეისწავლა რუსეთის არმიის ქართველი ეროვნების ოფიცერთა სამხედრო სამსახური.

ისტორიის დოქტორი, მამუკა გოგიტიძე არის 130-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, მათ შორის 19 მონოგრაფიის (1 დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს), ავტორი საქართველოს და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებში. არჩეულია საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრად (2013), არის რამდენიმე დისერტაციის ოპონენტი, მრავალი მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორი, რეცენზიენტი, სამხედრო კონსულტანტი და რამდენიმე სამეცნიერო გრანტის მფლობელი. პერიოდულად გამოდის საქართველოს ცენტრალური ტელევიზიით, სადაც აშუქებს საქართველოსა და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებს.

2007-2010 წლებში საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერიაზე“ მიჰყავდა საავტორო სამხედრო-პატრიოტულ გადაცემათა ციკლი „სადაურსა სად წაიყვან...“ სადაც მის მიერ არის მომზადებული 200-ზე მეტი რადიოგადაცემა.

2015 წლის 29 დეკემბერს არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო მეცნიერების საბჭოს წევრად.

2017 წლიდან საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თანადამფუძნებელია და მისი პირველი თავმჯდომარე.

2018-2020 წლებში იყო მოწვეული ლექტორი საქართველოს სამხედრო ხელოვნების საგანში დავით ალმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში.

არის სამამულო და საზღვარგარეთის რიგ სამხედრო - სამეცნიერო ურნალების სარედაქციო საბჭოების წევრი, „ქართული სამხედრო-ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ავტორი, შემდგენელი და სამუშაო ჯგუფის წევრი (2017), ენციკლოპედია „საქართველოს“ მთავარი სამეცნიერო რედაქციის სამხედრო კონსულტანტი. მისი

გვარი შესულია ქართულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში და ცნობილ ქართველთა ლექსიკონში.

2018 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა - „ქართული კულტურის ამაგდარის“ წოდება და 2022 წელს „მშვიდობის ალამდარის“ წოდება. 2018 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა წიგნისათვის „საქართველოს 100 ბრძოლა“ (დამხმარე სახელმძღვანელო) მიანიჭა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია. საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის განკარგულებით - „ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდასა და საქართველოს სკუტების ეროვნული ორგანიზაცია „შევარდნის“ დაფუძნებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-კულევითი და საქველმოქმედო საქმიანობისათვის“ დაჯილდოებულია „ლირსების“ ორდენით (01.06.2003), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქილია II მიერ - „ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდასა და საქართველოს ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დაჯილდოებულია წმინდა და გიორგის მედლით (30.04.2008).

განსაკუთრებული დვანლისათვის შეტანილს საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების შექმნის და სამხედრო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, არჩეულ იქნა ბაგრატოვანთა სამეფო სახლის ერეკლე მეორის სამეფო ორდენის დარბაზის წევრად და დაჯილდოვდა ერეკლე მეორის ორდენით (14.09.2020).

დაჯილდოებულია სასაზღვრო ძალების მედლით - „სასაზღვრო ძალების აღმშენებლობის და განვითარების საქმეში ღირსეული წვლილის შეტანისათვის“ (1999), თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით - უმწიკულო სამსახურისათვის (III ხარ.-2008) და შეს სამკერდე ნიშნით 10 წლის უმწიკულო სამსახურისათვის (2020). მიღებული აქვს უკრაინის სასაზღვრო ჯარების ორი უწყებრივი ჯილდო.

2021 წლის 20 მაისს არჩეულია ჯუმბერ ლეჟაგას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად.

სარჩევი

ერეკლეს გარეშე.....	3
გიორგის მეფობა	7
ტფილისის ზეცა	15
რუსეთის მზაკვრული გეგმები	26
საქართველოს საქმეები	43
მარტიროზას ამბები	52
ეპილოგი	58
ავტორისაგან	60
ავტორის შესახებ	64



www.mtsignobari.ge

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71